FRIEDRICH EBERT STIFTUNG

პოლიტიკური პარტიების სოციალურ-ეკონომიკური პროგრამების ანალიზი

პოლიტიკური პარტიების სოციალურ-ეკონომიკური პროგრამების ანალიზი

თბილისი
2010

პროექტი განხორციელდა ფრიდრიხ ებერტის ფონდის ფინანსური მხარდაჭერით; პუბლიკაცია გამოხატავს მხოლოდ ავტორთა ჯგუფის მოსაზრებებს და ფრიდრიხ ებერტის ფონდი პასუხისმგებელი არ არის პუბლიკაციაში მოცემულ ინფორმაციასა და შეხედულებებზე.

სახელმძღვანელოს შექმნაზე მუშაობდნენ:

შოთა მურღულია
დავით ნარმანია
მარინა ავალიშვილი

© 2010 საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი

© 2010 ფრიდრიხ ებერტის ფონდი

ISBN 978-9941-9112-6-2

ფონდი ,,საქართველოს სტრატეგიული კვლევების და განვითარების ცენტრი" – საზოგადოებრივი, არამომგებიანი, არაპოლიტიკური ორგანიზაცია 1995 წლის ივლისში დაფუძნდა.

ცენტრის გრძელვადიანი მიზანია ხელი შეუწყოს სამთავრობო, სამოქალაქო და ბიზნეს სექტორების ერთობლივ ეფექტურ მონაწილეობას საქართველოს დემოკრატიული განვითარების პროცესში. ასევე, სამივე სექტორის სოციალური პარტნიორობის ჩამოყალიბების მეშვეობით ხელი შეუწყოს ქვეყნის სოციალურად დაუცველი ფენების ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებას.

საქმიანობის სფეროებია: სამოქალაქო განვითარება; ეკონომიკა და სოციალური პოლიტიკა; გარემოს დაცვა; დეცენტრალიზაცია; მომხმარებელთა უფლებები; კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობა.

ცენტრის ძირითადი საქმიანობა:

- ქვეყნისათვის აქტუალური პრობლემების, მათი გამომწვევი მიზეზებისა და გადაჭრის გზების კვლევა;
- საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბების მიზნით რეგულარული ბიულეტენების, ლიფლეტებისა და საინფორმაციო ბუკლეტების გამოცემა;
- სემინარების, საჯარო განხილვებისა და სამუშაო შეხვედრების ორგანიზება, რათა ფართო საზოგადოების და შესაბამისი სფეროს სპეციალისტების მიერ პრობლემებზე გამოთქმული მოსაზრებების საფუძველზე შემუშავდეს პრაქტიკული რეკომენდაციები;
- სახელმწიფო პროგრამებისა და რეფორმების შესრულების, ასევე, მუნიციპალიტეტების საბიუჯეტო პროცესებისა და საქმიანობის მონიტორინგი;
- თბილისისა და საქართველოს რეგიონების საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და სოფლის ახალგაზრდული საინიციატივო ჯგუფების გაძლიერება, რათა გააქტიურდეს მოსახლეობის თვითრეალიზების პროცესი და არსებული პრობლემები უფრო ეფექტიანად გადაიჭრას;
- კონსულტაციებისა და ტრენინგების ჩატარება საზოგადოებრივი ორგანიზაციების, სამოქალაქო ჯგუფების, ადგილობრივი მმართველობის და თვითმმართველობის, სკოლების, საშუალო და მსხვილი ბიზნესკომპანიებისათვის;
- ქართული ბიზნესკომპანიების სოციალური პასუხისმგებლობის განვითარების მხარდაჭერა, ქვეყანაში ხელშეწყობი გარემოს შექმნითა და ცნობიერების ამაღლების გზით.

შინაარსი

შესავალი	7
1. პოლიტიკური იდეოლოგიები და ეკონომიკური სისტემები	9
1.1. პოლიტიკური იდეოლოგიები და ეკონომიკა	9
1.2. ეკონომიკური სისტემები და სახელმწიფოს როლი ეკონომიკაში	9
2. საქართველოს პოლიტიკური პარტიების სოციალურ-ეკონომიკური პროგრამების მიმოხილვა და ძირითადი დასკვნები	21
3. მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის პოლიტიკური პარტიების სოციალურ-ეკონომიკური პროგრამების მიმოხილვა	25
3.1. გერმანია	25
3.2. ამერიკის შეერთებული შტატები	36
3.3. იაპონია	44
3.4. ნორვეგია	54
3.5. ესტონეთი	56
3.6. სომხეთი	60

შესავალი

საქართველოში ბოლო წლების განმავლობაში პოლიტიკური მდგომარეობა დინამიურად ვითარდება და პრაქტიკულად ყოველწლიურად არჩევნები ტარდება, რაც საკმაოდ დიდ სირთულეებთან არის დაკავშირებული.
სამწუხაროდ, საქართველოში არ არის ჩამოყალიბებული ცივილიზებული არჩევნების ჩატარების კულტურა. არჩევნებში გამარჯვების მოსაპოვებლად გაცილებით მნიშვნელოვნად მიაჩნიათ პოლიტიკური ოპონენტების შეურაცხყოფა და არა არგუმენტირებული კრიტიკა. ამასთან ერთად, საზოგადოებისათვის არ ხდება კონკრეტული პროგრამების შეთავაზება და ძირითადი საკითხები სლოგანების დონეზე ფორმულირდება.
მიმდინარე ეკონომიკური კრიზისის და მუდმივი ეკონომიკური ცვლილებების პერიოდში, საქართველოში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს პოლიტიკურ სივრცეში სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკისა და ეკონომიკის საკითხების აქტუალიზაცია.
ამ მიზნით, საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრმა, ფრიდრიხ-ებერტის ფონდის ფინანსური მხარდაჭერით, განახორციელა პროექტი - ,,პოლიტიკური პარტიების სოციალურ-ეკონომიკური პროგრამების ანალიზი და სამაგიდო წიგნის მომზადება".

პროექტის მიზანია პოლიტიკური პარტიების სოციალურ-ეკონომიკური პროგრამების ანალიზი და პარტიებისათვის მეთოდური დახმარების აღმოჩენა.

პროექტის ამოცანებია:

- საქართველოში მოქმედი ძირითადი პოლიტიკური პარტიების პროგრამების შესწავლა და ამ პროგრამების სოციალურ-ეკონომიკური მიმართულებების ანალიზი;

- პოლიტიკურ პარტიებთან ინტერვიუების ჩატარება და სოციალურ-ეკონომიკური მიმართულებით მათი ხედვების გაცნობა;

- პოლიტიკური იდეოლოგიების შესწავლა-ანალიზი;
- ეკონომიკაში სახელმწიფოს როლისა და ეკონომიკური სისტემების მიმოხილვა;
- პოლიტიკური პარტიების ძირითადი პლატფორმის შესახებ საერთაშორისო გამოცდილების ანალიზი;
- უცხოური ქვეყნების პოლიტიკური პარტიების სოციალურ-ეკონომიკური პროგრამების შესწავლა და მათი აგების პრინციპების ანალიზი.

გვსურს მადლობა გადავუხადოთ ფრიდრიხ ებერტის ფონდის წარმომადგენლობას საქართველოში, რომლის დახმარებითაც მოხერხდა აღნიშნული კვლევის ჩატარება და სამაგიდო წიგნის მომზადება. ასევე მადლობას ვუხდით იმ პოლიტიკურ პარტიებსა და ექსპერტებს, რომელთა დახმარებითაც მოხერხდა წიგნის ამ ფორმით გამოცემა.

1. პოლიტიკური იდეოლოგიები და ეკონომიკური სისტემები

1.1. პოლიტიკური იდეოლოგიები და ეკონომიკა

პოლიტიკური იდეოლოგიები

პოლიტიკური პლურალიზმის პირობებში, სხვადასხვა პოლიტიკური პარტია ხასიათდება სხვადასხვა შეხედულებით სახელმწიფო მოწყობის, მმართველობის ფორმების, ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩარევის დონის და სხვა საკითხებთან მიმართებაში. დროთა განმავლობაში მსოფლიოში სხვადასხვა პოლიტიკური მიმდინარეობა ყალიბდებოდა. ნელ-ნელა დამკვიდრდა ტერმინი **„პოლიტიკური იდეოლოგია“**, რაც ნიშნავს იდეათა მეტ-ნაკლებად მწყობრ სისტემას, რომელიც საფუძველს უქმნის ორგანიზებულ პოლიტიკურ ქმედებას, იმისდა მიუხედავად, რა მიზანს ემსახურება ის: არსებული სისტემის ან ძალაუფლების შენარჩუნებას, სახეცვლასა თუ დამხობას. ამდენად, ყველა იდეოლოგია გვთავაზობს: (ა) არსებული წყობის შეფასებას, ჩვეულებრივ, „მსოფლმხედველობის სახით“; (ბ) სასურველი მომავლის მოდელს - „კარგი საზოგადოების“ ხედვას და (გ) გეგმას, თუ როგორ შეიძლება და უნდა განხორციელდეს პოლიტიკური ცვლილება[1].

პოლიტიკურ იდეოლოგიათა ყველაზე გავრცელებული კლასიფიკაციის მიხედვით, არსებობს მემარჯვენე, მემარცხენე და ცენტრისტული იდეოლოგიები. ასეთი კლასიფიკაცია მე-18 საუკუნის ბოლოს საფრანგეთიდან იღებს სათავეს. დროთა განმავლობაში „მემარჯვენეებმა“ დაიმკვიდრეს რეაქციულის ან მონარქისტულის სახელი, ხოლო „მემარცხენეებმა“ - რევულუციურის ან ეგალიტარიზმის სახელი. თუმცა, თანამედროვე პოლიტიკურ ცხოვრებაში ,,მემარჯვენედ'' და ,,მემარცხენედ'' დაყოფა ხშირად პირობითია.

მსოფლიოში სწრაფად მიმდინარე ცვლილებების პარალელურად იცვლებოდა პოლიტიკური იდეოლოგიები და შესაბამისი მიდგომები. ქვემოთ მოცემულია დღემდე არსებული ძირითადი პოლიტიკური იდეოლოგიების ნუსხა:

[1] ენდრიუ ჰეივუდი, *პოლიტიკური იდეოლოგიები*, მესამე გამოცემა, 2003.

- **კომუნიზმი;**
- **სოციალიზმი;**
- **ლიბერალიზმი;**
- **კონსერვატიზმი;**
- **ფაშიზმი;**
- **ნაციონალიზმი;**
- **ანარქიზმი;**
- **ფემინიზმი;**
- **რელიგიური ფუნდამენტალიზმი;**
- **ეკოლოგიზმი.**

ზოგიერთ შემთხვევაში პოლიტიკური იდეოლოგიები დაყოფილია მიმართულებებად ან კიდევ ურთიერთსაწინააღმდეგო ქვეიდეოლოგიებად. ხშირია შემთხვევები, როდესაც პოლიტიკური პარტიები რომელიმე ერთ იდეოლოგიაზე არიან დაფუძნებულები, მაგრამ პრაქტიკაში განსხვავებულ პოლიტიკას ატარებენ. მეტიც, სხვადასხვა ქვეყნების ერთი და იმავე იდეოლოგიაზე დაფუძნებული პარტიები რადიკალურად განსხვავებული ხედვებით გამოირჩევიან და ასევე განსხვავებულ პოლიტიკას ატარებენ.

პოლიტიკური იდეოლოგიების ეკონომიკური მხარე

სხვადასხვა პოლიტიკური იდეოლოგიის მიმდევრებს განსხვავებული შეხედულებები აქვთ ქვეყნის ეკონომიკური მოწყობის შესახებ. ძირითადი იდეოლოგიების მიმდევართა შეხედულებები ასე გამოიყურება[2]:

ლიბერალები ეკონომიკას განიხილავენ როგორც სამოქალაქო საზოგადოების არსებით ნაწილს და ძირითად უპირატესობას ანიჭებენ ბაზარს ანუ კაპიტალისტურ ეკონომიკურ წყობას, რომელიც ემყარება საკუთრებას, კონკურენციასა და მატერიალურ სტიმულებს.

კონსერვატორები მხარს უჭერენ კერძო მეწარმეობას და უპირატესობას ანიჭებენ ეკონომიკაში სახელმწიფოს პრაგმატულ, თუმცა შეზღუდულ ჩარევას, რადგან აცნობიერებენ საშიშროებას, რაც „უხილავ ხელს“ და სოციალურ არასტაბილურობას ახლავს თან. კონსერვატორების ერთ-ერთი იდეოლოგიური ქვემიმართულება – **ახალი მემარჯვენეობა** – არარეგულირებულ კაპიტალიზმს უჭერს მხარს და წარმოადგენს საბაზრო ინდივიდუალიზმისა და სოციალური ავტორიტარიზმის კომბინაციას.

სოციალისტები უპირატესობას ანიჭებენ საზოგადოებრივ საკუთრებას და აბსოლუტურ სოციალურ თანასწორობას, რაც კომუნიზმის პირობებში კოლექტივიზაციასა და ცენტრალიზებულ დაგეგმვაში გამოიხატა. სოციალიზმის ერთ-ერთი სახეობაა **სოციალური დემოკრატია,** რომელიც, კაპიტალიზმთან შედარებით, უპირატესობას ბაზარსა და სახელმწიფოს შორის ბალანსს ანიჭებს. სოციალ-დემოკრატები ემხრობიან საყოველთაო კეთილდღეობას, ანუ რეგულირებულ კაპიტალიზმს, რადგანაც მათი თვალსაზრისით, „ბაზარი კარგი მსახურია, მაგრამ ამავდროულად უხეირო ბატონია“.

ანარქისტები უგულებელყოფენ ეკონომიკის კონტროლს ან მართვის ნებისმიერ ფორმას. **ანარქო-კომუნისტები,** როგორც ანარქისტების ერთ-ერთი მიმართულება, საზოგადოებრივ საკუთრებასა და მცირემასშტაბიან თვითმმართველობას უჭერენ მხარს; **ანარქო-კაპიტალისტები** კი, მთლიანად არარეგულირებულ საბაზრო ეკონომიკას იცავენ.

ფაშისტები კორპორატივიზმის იდეას უჭერენ მხარს, რაც შრომისა და კაპიტალის გაერთიანებას გულისხმობს. ისინი მხარს უჭერენ დაგეგმვასა და ნაციონალიზაციას, როგორც ერის ან რასის საჭიროებისათვის სარგებლის მიღების საშუალებას.

ეკოლოგისტები გმობენ როგორც საბაზრო კაპიტალიზმს, ისე საბაზრო კოლექტივიზმს გარემოს დაცვისადმი უყურადღებობის გამო. მათი თვალთახედვით, ეკონომიკა უნდა ექვემდებარებოდეს ეკოლოგიის ინტერესებს, ხოლო ნებისმიერ ფასად მოგების მიღების ტენდენციას უნდა ჩაენაცვლოს ზრუნვა კაცობრიობისა და ბუნების ხანგძლივ თანაარსებობასა და ჰარმონიაზე.

საქართველოში ბოლო პერიოდში საკმაოდ გავრცელებულია **ლიბერალური იდეოლოგია.** ამდენად, საინტერესო იქნება ამ იდეოლოგიის უფრო ფართოდ წარმოდგენა. ლიბერალიზმი ორ ურთიერთსაპირისპირო მიმართულებად იყოფა: კლასიკური ლიბერალიზმი და თანამედროვე ლიბერალიზმი. ლიბერალიზმს, რომელიც სახელმწიფოს მინიმალურ როლს და თავისუფალი ბაზრის ეკონომიკას ქადაგებს, **კლასიკური**

[2] ენდრიუ ჰეივუდი, *პოლიტიკური იდეოლოგიები*, მესამე გამოცემა, 2003.

ლიბერალიზმი ეწოდება. აღნიშნულისაგან განსხვავებით, **თანამედროვე ლიბერალიზმი** სახელმწიფოს როლს ანიჭებს პრიმატს სოციალური უთანასწორობის აღმოსაფხვრელად და მას მეოცე საუკუნის ლიბერალიზმსაც უწოდებენ. კლასიკური ლიბერალიზმის ძირითადი პრინციპებია:

- **ინდივიდუალურობა;**
- **პოზიტიური თავისუფლება;**
- **სოციალური ლიბერალიზმი;**
- **ეკონომიკური მართვა**.

დაპირისპირებები ლიბერალიზმში

კლასიკური ლიბერალიზმი		**თანამედროვე ლიბერალიზმი**
ეკონომიკური ლიბერალიზმი	-	სოციალური ლიბერალიზმი
ეგოისტური ინდივიდუალიზმი	-	განვითარებადი ინდივიდუალიზმი
სარგებლიანობის მაქსიმიზება	-	პიროვნული ზრდა
ნეგატიური თავისუფლება	-	პოზიტიური თავისუფლება
მინიმალური სახელმწიფო	-	ხელშემწყობი სახელმწიფო
თავისუფალი ბაზრის ეკონომიკა	-	მართული ეკონომიკა
უფლებებზე დამყარებული სამართალი	-	სამართალი, როგორც სამართლიანობა
მკაცრი მერიტოკრატია[1]	-	ზრუნვა ღარიბებზე
პირადი პასუხისმგებლობა	-	სოციალური პასუხისმგებლობა
დაცულობის ქსელი	-	საყოველთაო კეთილდღეობა

წყარო: ენდრიუ ჰეივუდი, „პოლიტიკური იდეოლოგიები“, მესამე გამოცემა, 2003 .

კლასიკური ლიბერალური შეხედულებით, თითოეული ადამიანი ინდივიდუალური, გამორჩეული და უნიკალური არსებაა. თავისუფლების ღირებულება იმაშია, რომ თითოეულ ინდივიდს განვითარების, ნიჭის, უნარისა და ცოდნის შეძენის საშუალებას აძლევს. თანამედროვე ლიბერალები საყოველთაო კეთილდღეობის იდეას საფუძვლად თანაბარი შესაძლებლობების პრინციპს უდებენ. იმ შემთხვევაში, თუ ცალკეული ჯგუფები ან ინდივიდები სოციალური პირობების გამო ზარალდებიან, სახელმწიფოს ეკისრება სოციალური პასუხისმგებლობა შეამციროს ან აღკვეთოს ზიანი. მთავრობის დანახარჯები ეკონომიკაში ერთგვარი ინექციაა, რომლითაც შესაძლებელია ეკონომიკის მართვა. მაგალითად, სკოლების აშენებაში სახელმწიფო ფულის დახარჯვა მუშებსაც უზრუნველყოფს შემოსავლებით და სამშენებლო მასალაზე მოთხოვნასაც წარმოშობს. ლიბერალები, რომლებიც სახელმწიფოს მხრიდან ეკონომიკაში ჩარევის მოწინააღმდეგეები არიან და ყველა გადაწყვეტილებას ბაზარს ანდობენ, წარმოადგენენ არა ლიბერალებს, არამედ **ლიბერტანებს**.

[3] **მერიტოკრატია** არის მმართველობის ფორმა ან სხვა სტრუქტურა, სადაც თანამდებობები გადაიცემა და პასუხისმგებლობა მიენიჭებათ ადამიანებს, მათ დემონსტრირებულ ტალანტზე და შესაძლებლობებზე (დამსახურებაზე) დაყრდნობით.

1.2. ეკონომიკური სისტემები და სახელმწიფოს როლი ეკონომიკაში

მსოფლიო ეკონომიკური კრიზის შემდეგ, განსაკუთრებით აქტუალურია საკითხი, თუ რომელი ეკონომიკური სისტემა არის ყველაზე მეტად მისაღები და რა უპირატესობები გააჩნია მას სხვა სისტემებთან შედარებით.

უნდა აღინიშნოს, რომ ეკონომიკა არ არის ზუსტი მეცნიერება და, შესაბამისად, ბევრი საკითხი არ წარმოადგენს ზოგად ჭეშმარიტებას. ხშირია კამათი ეკონომისტებს შორის, რომელთაც კონკრეტულ საკითხებთან დაკავშირებით ურთიერთსაწინააღმდეგო მოსაზრებები გააჩნიათ. მაგალითისთვის მოვიყვანოთ 1973 წელს დიდი ბრიტანეთის ევროგაერთიანებაში გაწევრიანების დროს ეკონომისტების მიერ გამოთქმული მოსაზრებები. ყოველდღიურ გაზეთში „London Times“ გამოქვეყნდა 154 ეკონომისტის მიერ გაზიარებული მოსაზრება, რომ დიდი ბრიტანეთის გაწევრიანება ევროგაერთიანებაში ეკონომიკური თვალსაზრისით წამგებიანი იქნებოდა. მომდევნო დღეს კი 142 ეკონომისტის მოსაზრება დაიბეჭდა, რომლებიც საპირისპიროს ამტკიცებდნენ.

მსგავსი შემთხვევების ანალიზის შედეგად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მსოფლიოში არ არსებობს ერთიანი მიდგომა ეკონომიკური სისტემების და ხედვების შესახებ. აღნიშნულ ფაქტს გააჩნია 2 უმთავრესი მიზეზი:

1. ფილოსოფოსი კარლ პოპერის მოსაზრებით, ეკონომიკა, როგორც მეცნიერება, არ არის მყარ ფუნდამენტზე აგებული; იგი აგებულია არამყარ გრუნტზე. მონაცემები, ფაქტები და დაკვირვებები, რომლებზეც დაყრდნობითაც ეკონომისტები დასკვნებს აკეთებენ, არაზუსტია და ორმაგი ინტერპრეტირების საშუალებას იძლევა;

2. განსხვავებით ზუსტი მეცნიერებებისგან, ეკონომიკური მეცნიერება მჭიროდ არის დაკავშირებული და დამოკიდებული ღირებულებებზე. ეკონომისტები ადამიანის როლს და მნიშვნელობას საზოგადოებაში სხვადასხვა კუთხით უყურებენ და, შესაბამისად, მათი დასკვნები ეკონომიკურ საკითხებზე ვერ იქნება იდენტური.

თანამედროვე ეკონომიკურ ლიტერატურაში ეკონომიკური სისტემები და მოდელები სხვადასხვა ჭრილში არის განხილული და დაჯგუფებული. მიზანშეწონილად მიგვაჩნია წარმოგიდგინოთ სამი ძირითადი ეკონომიკური მიმართულება/სისტემა:

1. კაპიტალიზმი (საბაზრო ეკონომიკური სისტემა);
2. კომუნიზმი (გეგმიური ეკონომიკური სისტემა);
3. სოციალიზმი (შერეული სისტემა).

კაპიტალიზმი - გულისხმობს ინდივიდუალური თავისუფლების მაღალ ხარისხს. შოტლანდიელი ფილოსოფოსი, ადამ სმითი (1723-1790) ითვლება ეკონომიკური ლიბერალიზმის ფუძემდებლად. მისი ხედვა ემყარება შემდეგ პრინციპს: „ინდივიდების მიერ საკუთარი ინტერესების მიღწევით შესაძლებელია საერთო კეთილდღეობის მიღწევა“.
იდეალურ კაპიტალისტურ ეკონომიკაში ყველა გადაწყვეტილება, რომელიც დაკავშირებულია წარმოებასთან და რესურსების განაწილებასთან, კერძო მფლობელების მიერ უნდა იქნეს მიღებული. ამ დროს ბაზარი მოქმედებს, როგორც თვითრეგულირებადი მექანიზმი. არსებობს „უხილავი ხელი“, რომელიც უზრუნველყოფს საჭირო რაოდენობით, ყოველგვარი მითითების გარეშე, საზოგადოებისათვის აუცილებელი საქონლისა და მომსახურების წარმოებას.

საერთო კეთილდღეობის მისაღწევად ადამ სმითი ასახელებდა სამ ძირითად პირობას:

- კერძო მოხმარებისა და კერძო საკუთრებისკენ სწრაფვა;
- სამუშაოს გადანაწილება და სპეციალიზაცია;
- თავისუფალი ვაჭრობა და კონკურენცია.

1776 წელს ადამ სმითმა გამოაქვეყნა ნაშრომი ,,გამოკვლევა ხალხთა სიმდიდრის ბუნებისა და მიზეზების შესახებ”, რომელიც კაპიტალისტური მიმართულების სახელმძღვანელოდ არის აღიარებული. მას ასევე ეკუთვნის წიგნი „ზნეობრივი გრძნობის თეორია“, რომელშიც დასაბუთებულია ეკონომიკურ ურთიერთობებში ნდობისა და პატიოსნების აუცილებლობა.
ადამ სმითის მოსაზრებიდან გამომდინარე, თავისუფალი საბაზრო ეკონომიკა ავტომატურად აღწევს წონასწორობას, რაც საზოგადოების კეთილდღეობის შესაძლებელ მაქსიმუმს წარმოადგენს. თუმცა, მისი ხედვა არ ითვალისწინებდა კრიზისებისა და რეცესიების შესაძლებლობებს.
სმითის კლასიკური ლიბერალიზმის თეორია განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობდა 1929 წლის მსოფლიო ეკონომიკურ კრიზისამდე. ამ მომენტიდან კი გაჩნდა ეჭვები, რომ ,,უხილავი ხელის” მიერ მართული თავისუფალი ბაზარი ყოველთვის ვერ აღწევს წონასწორობას. ღრმა და მძიმე კრიზისმა საგრძნობლად შეარყია კლასიკური ლიბერალიზმის თეორია. ნობელის პრემიის ლაურიატი ჯოზეფ შტიგლიცი 2002 წელს ამტკიცებდა: ,,უხილავი ხელი ხშირ შემთხვევებში არ არის საჭირო ადგილას და ამიტომაც არის უხილავი”.
1929 წლის მსოფლიო ეკონომიკური კრიზის შემდეგ, ქვეყნების უმრავლესობა იყენებდა კეინსის ეკონომიკური იდეოლოგიას. თუმცა, 1980 წლიდან ნეოლიბერალური ეკონომიკური ხედვა კვლავ უფრო პოპულარული გახდა.
გამოჩენილი ეკონომისტები, რომლებმაც სმითის იდეები აღიარეს, განავითარეს და პროპაგანდას უწევდნენ, იყვნენ ფრიდრიხ აუგუსტ ფონ ჰაიეკი და მილტონ ფრიდმანი. ფრიდმანმა დაამკვიდრა ლიბერალური ეკონომიკური იდეოლოგია, რომელიც ,,ჩიკაგოს სკოლის” სახელით არის ცნობილი. ნეოლიბერალებმა შეამოკლეს სმითის ხედვა და მხოლოდ სახელმწიფოს კრიტიკასა და თავისუფალ ბაზარზე გააკეთეს აქცენტი. სმითის ,,ზნეობრივი გრძნობის თეორია” არც ფრიდმანს და არც ჰაიეკს არ გამოუყენებიათ.
ეს მიმართულება განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობდა ამერიკის შეერთებულ შტატებში პრეზიდენტ რონალდ რეიგანის და დიდ ბრიტანეთში პრემიერ-მინისტრ მარგარეტ ტეტჩერის მმართველობის დროს. მათი პოლიტიკის ძირითად სლოგანს წარმოადგენდა: ,,სახელმწიფო არ არის პრობლემის მოგვარების საშუალება, სახელმწიფო თვითონ არის პრობლემა” - ეს ნიშნავდა დერეგულირებას, პრივატიზებას და ეკონომიკაში სახელმწიფოს წილის შემცირებას.
ნეოლიბერალებმა დიდი გავლენა იქონიეს მსოფლიო ბანკსა და საერთაშორისო სავალუტო ფონდზე. ვაშინგტონის შეთანხმების საფუძ-

ველზე, ამ ინსტიტუტებმა ხელი შეუწყვეს ლიბერალური ეკონომიკური იდეოლოგიის გავრცელებას, განსაკუთრებით ლათინურ ამერიკაში, პოსტკომუნისტურ ქვეყნებსა და 1997 წლის აზიის კრიზისის შემდეგ სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში.
ამ იდეოლოგიის შედეგად, მოხდა ფინანსური ბაზრების დერეგულირება, რაც საერთო კეთილდღეობის ზრდას ემსახურებოდა. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ იდეოლოგიის საფინანსო ბაზრებზე გავრცელების შემდეგ, მოხდა მძიმე ფინანსური კრიზისი და 2008 წლის მსოფლიო ეკონომიკური რეცესია.

კომუნიზმი (კაპიტალიზმის კრიტიკა)

სისტემას, რომელიც ყველაზე ნაკლებად სთავაზობს ცალკეულ პიროვნებებს ეკონომიკურ თავისუფლებას, უწოდებენ **კომუნიზმს**. კომუნისტური ეკონომიკა ხასიათდება წარმოების საშუალებებზე საზოგადოებრივი საკუთრებით და რესურსების გეგმიური განაწილებით. სისტემის მეორე ნიშანს იმდენად დიდი მნიშვნელობა ენიჭება, რომ მას ხშირად გეგმიურ ეკონომიკად მოიხსენიებენ. კომუნისტური (გეგმიური) ეკონომიკის მთავარ მიზანს სოციალური თანასწორობის დამყარება წარმოადგენს. კერძო მეწარმეობას იგი აიგივებს მფლანგველობასა და ექსპლუატაციასთან.
გერმანელი ფილოსოფოსისა და პოლიტიკური ჟურნალისტის კარლ ჰაინრიხ მარქსის თეორია გვევლინება ადამ სმითის კაპიტალიზმის იდეის კრიტიკად. კარლ მარქსმა კარგად შეისწავლა სმითის თეორია და აღიარა კაპიტალიზმის უპირატესობები მწარმოებლურობისა და ინოვაციურობის კუთხით. თუმცა, ის, სმითისგან განსხვავებით, სხვა დასკვნებს აკეთებს. მარქსის აზრით, კაპიტალიზმი არის არასტაბილური და დანგრევისთვის განწირული სისტემა და იგი ,,ქვეყნის კეთილდღეობას" არ უზრუნველყოფს.
ლიბერალური ეკონომიკის მიმდევრების მიერ ეკონომიკური ზრდის წინაპირობად აღიარებულ საბაზრო ეკონომიკას კარლ მარქსი საზოგადოების სხვადასხვა ფენას შორის დაპირისპირებას უწოდებს.
მარქსის ეკონომიკური თეორიის საფუძვლები მოცემულია მისი გარდაცვალების შემდეგ გამოქვეყნებულ გამოცემაში ,,კაპიტალი". მის თეორიაში მთავარი ადგილი უჭირავს ტერმინს ,,დამატებული ღირებულება". ,,დამატებული ღირებულება'' არის საწარმოს მიერ გამოყენებული კაპიტალის ზემოთ მიღებული სახსრები. ,,დამატებული ღირებულება'' მხოლოდ ადამიანების შრომით მიიღწევა.
მარქსის აზრით, მუშახელი იღებს იმ რაოდენობის ანაზღაურებას, რომ არსებობა შეძლოს, ხოლო კაპიტალისტები მდიდრდებიან

ადამიანის მიერ შექმნილ ღირებულებასა და მისთვის ანაზღაურებულ თანხას შორის სხვაობის შედეგად.
კონკურენცია და სამუშაოს გადანაწილება ადამ სმითისთვის წარმოადგენდა განვითარების აუცილებელ პირობას; მარქსი კი, კონკურენციასა და სამუშაოს გადანაწილებას კაპიტალიზმთან აიგივებს და მასში ხედავს გაუცხოების უმთავრეს მიზეზს. მისი აზრით, საბაზრო ეკონომიკის ფარგლებში მწარმოებლურობის ზრდა კაპიტალისტების მდგომარეობას აუმჯობესებს, ხოლო მშრომელების მდგომარეობას აუარესებს.
კარლ მარქსის თეორიის კიდევ ერთი ფუნდამენტური პრინციპი არის კერძო საკუთრების კრიტიკა. კაპიტალისტური წყობის პირობებში დასაქმებულს არ აქვს შესაძლებლობა შეიძინოს ქონება და მასზე ხელი მხოლოდ კაპიტალისტებს მიუწვდებათ.

კომუნისტური პარტიის მანიფესტში კარლ მარქსი შემდეგ საკითხებზე ამახვილებს ყურადღებას:

- სახელმწიფოს მიერ კრედიტების ცენტრალიზაცია;
- სახელმწიფოს მიერ სატრანსპორტო სფეროს ცენტრალიზაცია;
- სახელმწიფო ქარხნების რიცხვის და მოცულობის ზრდა;
- ერთიანი ეკონომიკური გეგმის შემუშავება.

კარლ მარქსის მთავარი მიმდევარი ფრიდრიხ ენგელსი პრობლემას ხედავს საწარმოო ფაქტორების სახელმწიფოს ხელში გადასვლაში, რადგამ ამ დროს თვითონ სახელმწიფო ხდება მთავარი და ძლიერი კაპიტალისტი.
გეგმიურ ეკონომიკას გააჩნია როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი მხარეები. ერთი მხრივ, უზრუნველყოფილია შედარებით ნაკლები განსხვავება მდიდრებსა და ღარიბებს შორის, ვინაიდან, მისთვის დამახასიათებელია სწრაფვა სოციალური კეთილდღეობისათვის, მეორე მხრივ, საწარმოები ასეთი ეკონომიკის დროს მოკლებულნი არიან განვითარების შესაძლებლობას, პრაქტიკულად, არ გააჩნიათ სტიმული ახალი საქონლის გამოშვებისათვის და საკუთარი საქმიანობის ეფექტიანობის ასამაღლებლად. ამასთან ერთად, ძალიან რთული და ძვირია გეგმის შემუშავება და მისი განხორციელების უზრუნველყოფა.
თავისუფალი ბაზრის და კერძო საკუთრების ალტერნატივა თანამედროვე ეკონომიკაში არ არსებობს.

სოციალიზმი

სოციალიზმი იმყოფება კაპიტალიზმსა და კომუნიზმს შორის ეკონომიკური თავისუფლების ხარისხის მიხედვით. კომუნიზმის მსგავსად, სოციალიზმი გვთავაზობს ეკონომიკაში სახელმწიფოს როლის საკმაოდ მაღალ დონეს, მაგრამ სახელმწიფოს ჩარევა ხდება ეკონომიკის იმ დარგებში, რომელთაც საზოგადოების კეთილდღეობისათვის უპირველესი მნიშვნელობა გააჩნიათ.
ბრიტანელმა ეკონომისტმა, ჯონ მეინარდ კეინსმა (1883-1946), გაანალიზა კაპიტალიზმის თეორია და დაასკვნა, რომ დადებით მხარეებთან ერთად ის საკმაოდ არასტაბილურია და მნიშვნელოვან რისკებს შეიცავს. მისთვის მისაღები იყო ბაზრის მექანიზმი და კერძო საკუთრების მოდელი, მაგრამ კრიტიკულად განიხილავდა სმითის თეორიაზე დაფუძნებულ ნეოკლასიკურ მიმართულებას. კეინსის აზრით, კლასიკური ლიბერალიზმის მთავარი უარყოფითი მხარე მის ,,უმოქმედობაშია", რის შედეგადაც ეკონომიკური პრობლემების მოგვარება ვერ ხორციელდება.
კეინსი თავის ნაშრომში ,,დასაქმების, პროცენტისა და ფულის თეორია" ეჭვქვეშ აყენებს ბაზრების თვითგაჯანსაღების შესაძლებლობას და ნერგავს ახალ ეკონომიკურ სისტემას ,,მმართული კაპიტალიზმის'' სახით.
კეინსის იდეოლოგიის თანახმად, კაპიტალისტური ეკონომიკის პირობებში წარმოქმნილი მცირე ეკონომიკური კრიზისი ავტომატურად ღრმავდება და რეცესიაში გადაიზრდება. როცა წარმოების მოცულობა იკლებს და ადამიანები სამუშაო ადგილებს კარგავენ, გაცილებით მეტად ხდება მოხმარების შემცირება. შედეგად, საწარმოებს უწევთ წარმოებული პროდუქციის რაოდენობის კვლავ შემცირება და თანამშრომლების დათხოვნა. ამ სპირალს მივყავართ ღრმა და მძიმე კრიზისამდე.
მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის შემდეგ, კეინსის დასაბუთება დიდი პოპულარობით სარგებლობდა, რადგან კრიზისი ზუსტად მისმიერ აღწერილი სპირალის მიხედვით განვითარდა. კეინსის მიერ შემუშავებულ იქნა კონცეფცია, რომელიც კრიზისულ სიტუაციებში პრობლემის მოგვარებას ემსახურება.
კრიზისის დროს სახელმწიფო უნდა ჩაერიოს ბაზრის ფუნქციონირებაში და მოხმარება შეავსოს. სახელმწიფოს, ერთი მხრივ, შეუძლია ფული პირდაპირ მოქალაქეებს მისცეს (მაგალითად, საგადასახადო განაკვეთის შემცირება), თუმცა, ასევე შესაძლებელია ფული მოხმარების ზრდაზე არ დაიხარჯოს და დარეზერვებულ იქნას. მიზანშეწონილია სახელმწიფო თვითონ ხარჯავდეს თანხებს (მაგალითად, გზებისა და სკოლების მშენებლობა). სახელმწიფოს მიერ დამატებითი სახსრების გამოყოფა შექმნის ახალ სამუშაო ადგილებს და, შესაბამისად, გაზრდის მოთხოვნას.
კეინსის ცნობილი ფრაზაა: „ჩვენ ყველანი მოკვდავები ვართ". მისი აზრით, მნიშვნელოვანია მიმდინარე პერიოდში სამუშაო ადგილებისა და ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფა, ნაცვლად თვითრეგულირებადი ბაზრის მეშვეობით უკეთესი მომავლის ლოდინისა.
ბაზრის ფუნქციონირებაში ჩარევა რისკებთან არის დაკავშირებული, რადგან სწორი დრო და ადეკვატური ჩარევა რთული განსასაზღვრია.
მეოცე საუკუნეში კეინსის თეორია დიდი პოპულარობით სარგებლობდა. მისი რეკომენდაციები ფრანკლინ რუზველტის პრეზიდენტობის დროს იქნა გათვალისწინებული, რის შედეგადაც საგრძნობლად გაიზარდა სახელმწიფოს ინვესტიცია ინფრასტრუქტურაში.
ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი რიჩარდ ნიქსონი ამბობდა: „ახლა ჩვენ ყველა კეინსიანელები ვართ".
1970 წლიდან კეინსის თეორიის რეალიზაციის პარალელურად მსოფლიო კრიზისი განვითარდა. მართალია, კრიზის დროს სახელმწიფო ხარჯები გაიზარდა და მოთხოვნა შეავსო, მაგრამ არაკრიზისულ პერიოდში არ მოხდა სახელმწიფოს მიერ აღებული ვალდებულებებისა და გაზრდილი ხარჯების შემცირება. შედეგად, სახელმწიფოს წარმოექმნა დიდი ოდენობით ვალდებულება და მისი გასტუმრების მცდელობის დროს დაფიქსირდა მაღალი ინფლაცია.

გერმანელი მეცნიერ-ეკონომისტები ეკონომიკური სისტემების განმასხვავებელ ორ ძირითად ფაქტორს გამოყოფენ:

1. კოორდინაციის მექანიზმი;
2. საკუთრების ფორმა.

კოორდინაციის მექანიზმი გულისხმობს შემდეგ კითხვებზე პასუხს:

- რისი წარმოება უნდა მოხდეს და ვინ იღებს გადაწყვეტილებას?
- როგორ უნდა მოხდეს წარმოება და ვინ იღებს გადაწყვეტილებას?
- ვისთვის უნდა მოხდეს წარმოება და ვინ იღებს გადაწყვეტილებას?

ამ კითხვების პასუხებზეა დამოკიდებული, თუ რა სახის კოორდინაციის მექანიზმი გვაქვს ქვეყანაში.
თუ გადაწყვეტილებების მიღება ხდება საწარმოების და მომხმარებლების მიერ ბაზრის მექანიზმის გამოყენებით, საუბარია საბაზრო

ეკონომიკაზე. ხოლო თუ გადაწყვეტილების მიღება ხდება სახელმწიფოს მიერ, საუბარია ცენტრალურ გეგმიურ ეკონომიკაზე.
მეორე კომპონენტი - საკუთრების ფორმა - განსაზღვრავს თუ ვინაა წარმოების ფაქტორების მესაკუთრე. კერძო საკუთრების შემთხვევაში გვაქვს კაპიტალისტური ეკონომიკური სისტემა, ხოლო საერთო საკუთრების არსებობის შემთხვევაში - სოციალისტური ეკონომიკური სისტემა.

საკუთრების ფორმა / კოორდინაციის პრინციპი	კერძო საკუთრება	საერთო საკუთრება
დეცენტრალიზებული დაგეგმვა	კაპიტალისტური საბაზრო ეკონომიკა	სოციალისტური საბაზრო ეკონომიკა
ცენტრალიზებული დაგეგმვა	კაპიტალისტური გეგმიური ეკონომიკა	სოციალისტური გეგმიური ეკონომიკა

რეალობაში სრული ფორმით კაპიტალიზმი ან სოციალიზმი, საბაზრო ეკონომიკა ან გეგმიური ეკონომიკა არ გვხვდება. ხშირ შემთხვევაში ეკონომიკური მოდელები სხვადასხვა მიმდინარეობის ნაზავს წარმოადგენენ. ქვეყნის ეკონომიკური მოდელის ანალიზის დროს უნდა გავითვალისწინოთ და დავადგინოთ თუ რომელი ეკონომიკური სისტემის ელემენტები ჭარბობს.

2. საქართველოს პოლიტიკური პარტიების სოციალურ-ეკონომიკური პროგრამების მიმოხილვა და ძირითადი დასკვნები

საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრმა შეისწავლა საქართველოში არსებული პოლიტიკური პარტიები და მათი სოციალურ-ეკონომიკური პროგრამების შესასწავლად გამოყო რამდენიმე პარტია. საქართველოში იუსტიციის სამინისტროს მიერ 2009 წლის სექტემბრისთვის რეგისტრირებული იყო 208 პარტია, რომელთა უდიდესი ნაწილი ე.წ. უმოქმედო პარტიებია. **ცენტრის მიერ შერჩეულ იქნა 23 ძირითადი პოლიტიკური პარტია შემდეგი ნიშნებით:** წარმოდგენილები არიან საქართველოს პარლამენტში ან/და ადგილობრივი თვითმმართველობის საკრებულოებში; ან/და მონაწილეობას ღებულობდნენ საქართველოს პარლამენტის და ადგილობრივი თვითმმართველობის ბოლო არჩევნებში; მონაწილეობას ღებულობდნენ 2009 წლის გაზაფხულზე საქართველოს პარლამენტის წინ გამართულ საპროტესტო აქციებში; რეაგირებენ სხვადასხვა პოლიტიკურ პროცესებზე და გამოირჩევიან შედარებითი პოლიტიკური აქტიურობით.

ამდენად, შერჩეულ იქნა შემდეგი პოლიტიკური პარტიები:

1. ,,ახალი მემარჯვენეები''
2. ,,დემოკრატიული მოძრაობა - ერთიანი საქართველო''
3. ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა''
4. ეროვნულ-დემოკრატიული პარტია
5. ,,პოლიტიკური მოძრაობა თავისუფლება''
6. საქართველოს ლეიბორისტული პარტია
7. ,,სამართლიანი საქართველოსთვის''
8. ,,მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს''
9. საქართველოს მწვანეთა პარტია

10. ,,საქართველოს გზა''
11. საქართველოს რესპუბლიკური პარტია
12. სახალხო პარტია
13. ,,ჩვენ თვითონ''
14. ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა
15. საქართველოს კონსერვატიული პარტია
16. ,,მოძრაობა ერთიანი საქართველოსთვის''
17. „ეროვნული ფორუმი“
18. ,,ქართული დასი''
19. ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირი
20. „ ჩვენი საქართველო - თავისუფალი დემოკრატები“
21. ,,ხალხის პარტია''
22. საქართველოს ქალთა პარტია ,,სამართლიანობისა და თანასწორობისათვის''
23. ,,მომავლის პარტია''

საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის მიერ შესწავლილ იქნა ზემოაღნიშნული პარტიების ინტერნეტ-გვერდები და განხორციელდა პირველადი კვლევა, რომლის შედეგად გამოვლინდა: ჰქონდათ თუ არა პოლიტიკურ პარტიებს ვებ-გვერდი, რა ტიპის ინფორმაცია არის განთავსებული ვებ-გვერდებზე, დევს თუ არა ვებ-გვერდზე პარტიის პროგრამა და ა.შ. შემდგომ ცენტრმა ოფიციალურად წერილობითი თხოვნით მიმართა პოლიტიკურ პარტიებს, სოციალური -ეკონომიკური პროგრამის ან/და კონკრეტული საარჩევნო პროგრამის მოწოდების შესახებ (ნებისმიერი ფორმით).

მიუხედავად იმისა, რომ პროგრამის მოწოდების ვადები ცენტრმა რამდენჯერმე გააგრძელა, პროგრამა მოწოდებულ იქნა მხოლოდ 11 პოლიტიკური პარტიის მიერ. დანარჩენ პარტიებს პროგრამები არ მოუწოდებიათ რამდენიმე მიზეზის გამო: 1. არ იყო დასრულებული პროგრამაზე მუშაობა და მიმდინარეობდა პროგრამის სხვადასხვა ნაწილის ჩამოყალიბება; 2. არ ჰქონდათ საკუთარი პროგრამა; 3. პროგრამაში არ იყო ასახული სოციალურ-ეკონომიკური ნაწილი; 4. მიზეზი უცნობია.

პოლიტიკური პარტიებისაგან ინფორმაციის მოწოდების/არ მოწოდების პროცესში ნათლად გამოჩნდა ბევრი ნაკლოვანება, რომელიც პარტიების ორგანიზაციული მენეჯმენტის სისუსტეზე მიუთითებს. შეიძლება ითქვას, რომ პარტიების დიდ ნაწილს:

- ოფისებში არ აქვთ დანერგილი სატელეფონო კომუნიკაციის აპრობირებული და საქმისწარმოების ელემენტარული წესები (ზოგიერთ შემთხვევაში პარტიებისათვის მიწოდებული ოფიციალური წერილები დაიკარგა);
- ბევრ შემთხვევაში პრაქტიკულად არ არსებობს შიდაორგანიზაციული კომუნიკაციის არხები. მაგალითად, ოფისის წარმომადგენელი, ხელმძღვანელის ოფისში (თბილისში ან საქართველოში) არ ყოფნის შემთხვევაში, არ მიიჩნევს აუცილებლად გააგებინოს ხელმძღვანელს წერილის შინაარსი ტელეფონით, ელ. ფოსტით ან სხვა საშუალებით;
- უმეტეს შემთხვევაში სახეზეა პარტიების (როგორც ორგანიზაციის) სრული ცენტრალიზაცია. ლიდერთან (/ლიდერებთან) შეთანხმების გარეშე პარტიის წარმომადგენლები, თუნდაც ხელმძღვანელ თანამდებობებზე მყოფნი, თავს იკავებენ ინფორმაციის მოწოდებისაგან. უნდა გავითვალისწინოთ, რომ ამ შემთხვევაში საქმე ეხება ისეთ საჯარო დოკუმენტს, როგორიცაა პარტიის პროგრამა. პროგრამა ხომ სწორედ საზოგადოების ფართო მასებისთვის არის განკუთვნილი და საკუთრივ პარტია უნდა იყოს დაინტერესებული მისი გავრცელებით;
- ზოგიერთი პარტიის შემთხვევაში, ფუნქციები ადმინისტრაციული თვალსაზრისით არ არის დაყოფილი. მაგალითად, პროგრამების მოწოდების პროცესში, აუცილებელი გახდა პარტიის რამდენიმე წარმომადგენლისათვის პროექტის მიზნების ახნა, რათა მიზნობრივად მომხდარიყო პასუხისმგებელ პირთან დაკავშირება.

საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის მიერ პროგრამების შესწავლის შემდეგ დაიგეგმა შეხვედრები 8 პოლიტიკური პარტიის წარმომადგენლებთან (სოციალურ-ეკონომიკურ პროგრამაზე პასუხისმგებელ პირებთან). დანარჩენებთან შეხვედრა ვერ შედგა მათი მხრიდან პროგრამის არ მოწოდების ან კომუნიკაციის პრობლემების გამო.

საქართველოს პოლიტიკური პარტიების პროგრამების ანალიზისა და ჩატარებული ინტერვიუების შემდეგ გამოიკვეთა საერთო სურათი:

- პოლიტიკური პარტიების გარკვეულ ნაწილს საერთოდ არ გააჩნია წერილობითი ფორმით ჩამოყალიბებული პროგრამა და მათი საქმიანობა ძირითადად ზეპირ მოსაზრებებს ეყრდნობა;
- ყველა პოლიტიკურ პარტიას, რომელსაც გააჩნიათ წერილობითი ფორმის პროგრამა, მოცემული აქვს სოციალურ-ეკონომიკური ნაწილი.
- ცალკე სოციალურ-ეკონომიკური პროგრამა არც ერთ პარტიას არ გააჩნია.
- პარტიების პროგრამების სოციალურ-ეკონომიკური ნაწილები ძირითადად სხვადასხვა სტრუქტურითაა აგებული. ასევე განსხვავებულია ის ხედვები, რასაც სამომავლო სოციალურ-ეკონომიკური რეფორმები ეყრდნობა. აბსოლუტური უმრავლესობა ლიბერალური ეკონომიკის მომხრეა, თუმცა, ზომიერი სახელმწიფო რეგულირების ფონზე;
- როგორც წესი, პოლიტიკური პარტიების უმეტესობის პროგრამები წინასაარჩევნო პერიოდისთვის მზადდება და შემდგომ არჩევნებამდე მათი გადამუშავება არ ხორციელდება. ვინაიდან მომდევნო წელს დაგეგმილია ადგილობრივი თვითმმართველობების არჩევნები, ზოგიერთი პარტიის მხრიდან საარჩევნო პროგრამების დახვეწა-გადამუშავების პროცესი მიმდინარეობს;
- პოლიტიკური პარტიების უმეტესობის პროგრამების სოციალურ-ეკონომიკური ნაწილი არ მოიცავს კონკრეტულ ფინანსურ და ეკონომიკურ მაჩვენებლებს და მათ ზოგადი განაცხადის სახე გააჩნიათ; ასევე არ მოიცავს იმ ეკონომიკურ–ფინანსურ შედეგებს, რასაც უნდა მიაღწიოს პარტიამ რეფორმების გატარების შემდგომ;
- პარტიების უმეტესობის განცხადებით, ხდება მოსახლეობასთან მუდმივი შეხვედრები და უკუკავშირი. პარტიების წარმომადგენლები პროგრამებს ავრცელებენ და საზოგადოებას აცნობენ. მოქმედ პოლიტიკურ პარტიათა უმეტესობას პროგრამები ვებ-გვერდზე აქვს განთავსებული;
- პროგრამების შემუშავების დროს პარტიები ძირითადად რესურსების სიმცირის პრობლემას უჩივიან (ადამიანური რესურსები, პროგრამების შემუშავებისა და განხილვისათვის საჭირო ფინანსური რესურსები) და სამომავლოდაც სწორედ ამ მდგომარეობის გაუმჯობესებას ისურვებდნენ.

3. მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის პოლიტიკური პარტიების სოციალურ-ეკონომიკური პროგრამების მიმოხილვა

მსოფლიოს სხვადასხვა პოლიტიკური პარტიის სოციალურ–ეკონომიკური პროგრამების მიმოხილვის მიზნით, ქვეყნების შერჩევისას გათვალისწინებულ იქნა წიგნის პირველ თავში მოცემული ინფორმაცია პოლიტიკური იდეოლოგიებისა და ეკონომიკური სისტემების შესახებ. ჩვენს მიერ გაანალიზებულ იქნა ეკონომიკის სამი ფლაგმანი ქვეყნის - აშშ; გერმანია და იაპონია - პოლიტიკური პარტიების სოციალურ-ეკონომიკური პროგრამები. ასევე, განხილულ იქნა ნორვეგიის, ესტონეთისა და სომხეთის პოლიტიკური პარტიების პროგრამები.

3.1. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა მრავალპარტიული ქვეყანაა (საპარლამენტო დემოკრატია), რომლის პარლამენტშიც მიმდინარე ეტაპზე (2009 წლის 27 ოქტომბრის არჩევნების შედეგად) ექვსი პოლიტიკური პარტიაა წარმოდგენილი. პოლიტიკურ პარტიებს პარლამენტში ადგილები შემდეგნაირად აქვთ გადანაწილებული:

1.	კოალიცია: ქრისტიან-დემოკრატთა გაერთიანება (CDU) და ქრისტიან-სოციალური გაერთიანება (CSU)	239	38,4%
2.	სოციალ-დემოკრატიული პარტია (SDP)	146	23,5%
3.	თავისუფალი დემოკრატიული პარტია (FDP)	93	15,0%
4.	სოციალისტური პარტია (Die Linke)	76	12,2%
5.	მწვანეთა პარტია (Die Grünen)	68	10,9%
	სულ:	**622**	**100,0%**

ქვეყნის უმაღლესი მმართველია ფედერალური კანცლერი, რომელსაც პარლამენტი თავისი შემადგენლობიდან ირჩევს. კანცლერი აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაურია. ქვეყანას ჰყავს პრეზიდენტიც, რომელსაც ირჩევს ბუნდესთაგი და ის მხოლოდ წარმომადგენლობით ფუნქციას ასრულებს.
გერმანიის პარლამენტი შედგება ორი პალატისაგან: ბუნდესთაგი (გერმანულად Bundestag, შედგება პარტიული წესით არჩეული 622 დეპუტატისაგან) და ბუნდესრატი (გერმანულად Bundesrat, შედგება ქვეყნის მიწებიდან (მხარეებიდან) არჩეული 69 დეპუტატისაგან).
გერმანია ადმინისტრაციულად დაყოფილია 16 მიწად (მხარედ), რომელთაც თავიანთი წარმომადგენლები ჰყავთ ბუნდესრატში (თითოეულ მიწას 3-დან 6 დეპუტატამდე). ბუნდესრატის წევრები არიან ფედერალური მიწების მთავრობათა წევრები. მიწებს ჰყავთ თავიანთი მთავრობები და პარლამენტები, რომლებიც ახორციელებენ რეგიონალურ საკანონმდებლო და აღმასრულებელ პოლიტიკას. მიწები დაყოფილია ადგილობრივ თვითმმართველობებად, რომელთაც ასევე გააჩნიათ თავიანთი უფლებამოსილებები.

გერმანიის ქრისტიან-დემოკრატთა გაერთიანება (CDU) და ქრისტიან-სოციალური გაერთიანება (CSU)

www.cdu.de www.cducsu.de www.csu.de

1945 წელს, მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ, გერმანიის სხვადასხვა ქალაქში შეიქმნა ერთმანეთისგან დამოუკიდებელი ქრისტიან-დემოკრატიული (Die Christlich Demokratische Union Deutschlands, შემოკლებით CDU) და ქრისტიან-სოციალური გაერთიანებები (Die Christlich-Soziale Union in Bayern, შემოკლებით CSU). გერმანიის ქრისტიან-დემოკრატთა გაერთიანება არის ქრისტიან-დემოკრატიული, ლიბერალური და კონსერვატიულ-ცენტრისტული სახალხო პარტია. ქრისტიან-სოციალური გაერთიანება არის ბაიერნის ქრისტიანულ კონსერვატიული პარტია.
1945-1949 წლებში ჩამოყალიბდა და დაიხვეწა ქრისტიან-დემოკრატთა პარტიის სტრუქტურა. 1950 წელს კი, ჩატარდა პარტიის პირველი ყრილობა.
2009 წლის არჩევნებში, ისევე როგორც 2005 წელს, ქრისტიან-დემოკრატთა და ქრისტიან-სოციალური გაერთიანებების კოალიციამ გამარჯვება მოიპოვა. გერმანიის მოქმედი კანცლერი, ანგელა მერკელი, ქრისტიან-დემოკრატთა გაერთიანების თავმჯდომარეა.
2009 წლის არჩევნებზე კოალიციამ წარმოადგინა ერთიანი პროგრამა 2009-2013, რომელიც აერთიანებს ორივე პარტიის მიდგომებსა და ხედვებს.
აღნიშნული პროგრამა ეკონომიკურ-სოციალურ საკითხებთან ერთად სხვა მნიშვნელოვან თემებსაც მოიცავს. ეკონომიკური და სოციალური საკითხები მოცემულია თავში: **„ჩვენი სოციალური საბაზრო ეკონომიკა - ეკონომიკური ზრდა და სოციალური დაცვა“.**

ეკონომიკურ-სოციალურ ნაწილში მოცემულია შემდეგი ქვეთავები:

- საგადასახადო პოლიტიკა;
- ინვესტიციები;
- ენერგოუსაფრთხოება და ეკოლოგია;

- მსოფლიო საფინანსო ბაზრებისა და მსოფლიო ეკონომიკის წესები;
- დასაქმება;
- საპენსიო ასაკს მიღწეული ადამიანებისთვის სათანადო პირობების შეთავაზება;
- ჯანდაცვა.

პროგრამის შესავალში მოცემულია ის შედეგები, რომლებსაც კოალიციამ ხელისუფლებაში ყოფნის (2005-2009 წწ.) პერიოდში მიაღწია: საჯარო ფინანსების სისტემის რეორგანიზაცია; სახელმწიფო ბიუჯეტის დაბალანსება; უმუშევართა რიცხვის შემცირება; ოჯახების გაძლიერება - ხანდაზმულობის შემწეობა; ბავშვებზე დახმარების პროგრამა; განათლება და კვლევა; გერმანიის ინტერესების დაცვა ევროპასა და მსოფლიოში.

პროგრამაში მოცემულია მომდევნო 4 წლის განმავლობაში მისაღწევი 10 ამოცანა:

1. ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფა; სახელმწიფო ვალდებულების ზრდის შეზღუდვა და საბიუჯეტო დეფიციტის შემცირება; ინვესტირების ზრდა, განსაკუთრებით ინოვაციებსა და განათლების სფეროებში;
2. მიზანი: „სამუშაო ყველასათვის“. ამ მიზნის მისაღწევად დაგეგმილია განათლების და გადამზადების პროგრამების დახვეწა; აგრეთვე, შრომის ბაზარზე მოქმედი ყველა სუბიექტის ჩართვა და მოტივირება სამუშაო ადგილების შესანარჩუნებლად და შესაქმნელად;
3. განათლება – არ უნდა იყოს დამოკიდებული მშობლების შემოსავლებზე;
4. ქორწინების სიმტკიცე და ოჯახის გაძლიერება;
5. რეგიონალური განვითარება;
6. ახალი ენერგოსტრატეგიის შემუშავება; განახლებადი ენერგიის გამოყენების ზრდა;
7. ქალებისთვის პერსპექტივებისა და ანაზღაურების თანაბარი პირობების შექმნა;
8. ადგილობრივი მოსახლეობის და მიგრანტების ჰარმონიული თანაცხოვრების უზრუნველყოფა;

9. საშინაო და საგარეო უსაფრთხოების უზრუნველყოფა;
10. სოციალური საბაზრო ეკონომიკის მოდელის მსოფლიოსთვის შეთავაზება.

დასახული მიზნების მისაღწევად გათვალისწინებულია 6 პროექტის განხორციელება, რომელთა შესახებ დეტალური ინფორმაცია პროგრამაშია მოცემული.
კოალიციის აზრით, სოციალური საბაზრო ეკონომიკა ის მოდელია, რომელიც უზრუნველყოფს საზოგადოების კეთილდღეობას. ლუდვიგ ერჰარდის შემდგომ დამკვიდრდა პრინციპი „კეთილდღეობა ყველასათვის“. ამ პრინციპის მისაღწევად გათვალისწინებულია ზემოთ აღნიშნული პროგრამების განხორციელება.
პროგრამაში მოცემული სოციალურ-ეკონომიკური პროგრამები და ინიციატივები არის დეტალიზირებული და ემყარება შესაბამის ფინანსურ გაანგარიშებებს.
საგადასახადო პოლიტიკის რეფორმის პროგრამის სლოგანია: „უფრო მეტი ნეტო ბრუტოდან“. აღარ მოხდება საგადასახადო განაკვეთების ზრდა; ბიუჯეტის დეფიციტის შემცირება სახელმწიფო ხარჯების ოპტიმიზაციის შედეგად უნდა იქნას მიღწეული. პროგრამის ამ ნაწილში მოყვანილია კონკრეტული წინადადებები. მაგალითად, საშემოსავლო გადასახადის გაანგარიშების დროს იცვლება შემოსავლის ზღვრები, რომლის შედეგადაც ხდება გადასახადით დაბეგვრის მაქსიმალური განაკვეთის განსაზღვრა. პირველ ეტაპზე დასაბეგრი წლიური ზღვარი 52 552 ევროდან გაიზრდება 55 000 ევრომდე, ხოლო მეორე ეტაზპე - 60 000 ევრომდე[4].
საფინანსო-საბიუჯეტო პოლიტიკის ძირითადი სლოგანია ***„ვალდებულების ზრდა დღეს ნიშნავს გადასახადების ზრდას მომავალში“***. ვალდებულების ზრდით არ უნდა დაირღვეს თაობათა შორის სოლიდარობის პრინციპი. ახალი ვალდებულებების აღების დროს გაანალიზებულ უნდა იყოს მომავალი თაობების წინაშე პასუხისმგებლობა, მათ შორის იმ ადამიანების წინაშე, რომლებიც ჯერ არ დაბადებულან.
პროგრამით გათვალისწინებულია ბიზნესისთვის ბიუროკრატიული ბარიერების მოხსნა. ამ ნაწილში მოცემულია ფინანსური მაჩვენებლები, მაგალითად, 2006-დან 2009 წლამდე ბიუროკრატიული პროცედურების შემცირებით დაახლოებით 7 მილიარდი ევრო დარჩა ეკონომიკაში. არსებული მდგომარეობით, ბიუროკრატიული ბარიერების შედეგად, ყოველწლიურად დაახლოებით 40 მილიარდი

[4] 1 ევრო შეადგენს დაახლოებით 2.4530 ლარს.

ევრო იხარჯება. პროგრამის მიზანია 2011 წლამდე 25 პროცენტით შემცირდეს ანგარიშების წარდგენის ვალდებულებებით წარმოქმნილი ბიუროკრატიული ხარჯები.

სოციალ-დემოკრატიული პარტია (SPD)

www.spd.de

სოციალ-დემოკრატიული პარტია (Die Sozialdemokratische Partei Deutschlands, შემოკლებით SPD) სიდიდით მეორე პარტიაა გერმანიაში. პარტია 1863 წელს დაფუძნდა და გერმანიის უძველეს პარტიას მიეკუთვნება. მეორე მსოფლიო ომის შემდგომ, პარტიამ რეორგანიზებული ფორმით განაახლა საქმიანობა. SPD ევროპის სოციალ-დემოკრატიული პარტიის და საერთაშორისო სოციალისტური პარტიის წევრია.
2009 წლის არჩევნებზე ამ პარტიამ 23,5% აიღო და გერმანიის პარლამენტში 146 წევრი ჰყავს. აღნიშნული არჩევნებისთვის პარტიამ ცალკე პროგრამა წარმოადგინა (Die Arbeit von Morgen: Politik für das nächste Jahrzehnt, ე.წ. ვალტერ შტაინმაიერის პროგრამა). ამდენად, აღნიშნული პროგრამა წარმოადგენს პარტიის ბოლო სამოქმედო დოკუმენტს. პარტიის ძირითადი საარჩევნო ლოზუნგი იყო: „თავისუფლება, თანასწორობა და სოლიდარობა“.
პარტიის მოქმედი პროგრამა რვა ძირითადი ბლოკისგან შედგება:

1. **მწარმოებლურობა გერმანიაში:** მსოფლიოს მომარაგება ხვალინდელი დღისთვის;
2. **მომსახურება გერმანიაში:** ჯანდაცვა და კრეატიული მეურნეობა, როგორც ეკონომიკის მამოძრავებელი;
3. **მოწინავე ექსპორტიორი მსოფლიოში:** მიწოდების სტიმულირება შემოსავლების სამართლიანი განაწილებით და საჯარო ინვესტიციებით;
4. **განათლება – ადამიანის უფლება:** მხარეების (მიწების) უდიდესი სიძლიერე ადამიანებია;

5. **სოციალური საბაზრო ეკონომიკის ახალი სტარტი:** მდგრადობა და სოციალური პარტნიორობა საწარმოთა საქმიანობაში;
6. **სრული თანასწორობა:** მეტი ქალები მოწინავე პოზიციებზე;
7. **ეკონომიკის სასიცოცხლო არტერია:** თანამედროვე და ინტელიგენტებისგან შემდგარი ქსელი, როგორც ზრდის ახალი ბაზისი;
8. **მსოფლიოში ახალი თამაშის წესები ფინანსურ ბაზრებზე:** რათა არ მოხდეს ახალი კრიზისი.

SPD-ს პროგრამის პრეამბულაში ჩანს ის ძირითადი დაპირებები, რასაც პარტია სთავაზობს ამომრჩეველს. პარტია მიზნად ისახავს სოციალ-დემოკრატიული ზრდის პროგრამის რეალიზაციას, რომელიც რამდენიმე მიმართულებას მოიცავს. პარტიის ხედვები ძირითადად 2020 წლამდეა გათვლილი (მომდევნო ორი ვადით არჩევნები) და ძირითადი ხედვები პრეამბულაში პირდაპირ გზავნილების სახით არის გამოტანილი:

- **ახალი თამაშის წესები:** კრიზისის დაძლევის შემდგომ ფინანსური ბაზრებისთვის ზომიერი და მკაფიო რეგულირების წესები, რათა არ განმეორდეს შეცდომები. შეცდომების გამოსასწორებლად მსოფლიო ქვეყნების დიდ ოცეულთან ერთად (G20) ბრძოლა;
- **პარტიის მიზნები:** უკეთესი პერსპექტივა და ძლიერი სახელმწიფოს ფორმირება. 2020 წლამდე უმუშევრობის დაძლევა, ღირსეული შემოსავლების შექმნა, თანასწორობა მამაკაცებსა და ქალებს შორის; ინვესტიციურად ძლიერი საწარმოების ქონა; საოჯახო მეურნეობების მდგომარეობის გაუმჯობესება;
- **სამუშაო ხვალინდელი დღისთვის**: გერმანიას გონივრული პოლიტიკით შეუძლია მომდევნო ათწლეულში 4 მლნ. ახალი სამუშაო ადგილის შექმნა;
- **ძველი სიძლიერეების განახლება**: გერმანიის უდიდეს სიძლიერედ რჩება ინდუსტრიული წარმოება; მსოფლიო კლიმატის უარყოფითი ცვლილების შესამცირებლად გერმანული ტექნოლოგიების გამოყენება; გერმანიის ეკონომიკაში ენერგეტიკისა და ნედლეულის ეფექტიანად გამოყენების ზრდა; მომსახურების სფეროში 2 მლნ. ახალი სამუშაო ადგილის შექმნა;

- **ალიანსი საშუალო ფენისათვის**: გერმანიის ეკონომიკა კრიზისიდან სწრაფად უნდა გამოვიდეს და დაიწყოს კვლავ განვითარება. საპარლამენტო არჩევნების შემდგომ „საშუალო ფენისათვის

ალიანსის“ („Allianz für den Mittelstand“) ფორმირება და კანცლერის არჩევა (იგულისხმება ფრანკ-ვალტერ შტაინმაიერი).

- **დასაქმების მამოძრავებელი ძალა – მომსახურების სფერო**: გერმანიაში განსაკუთრებული აქცენტი უნდა გაკეთდეს მომსახურების სექტორის განვითარებაზე. ამ სექტორში შესაძლებელია დამატებით 2 მლნ. სამუშაო ადგილის შექმნა.
- **განათლების ახალი აგრესიული პოლიტიკა**: განათლება და სწავლება უნდა გახდეს ეკონომიკური პოლიტიკის მამოძრავებელი. 2020 წლამდე მოხდება განათლებაში ინვესტირების ზრდა. შესაბამისი სამინისტროს საქმიანობა ორიენტირებული უნდა იყოს იმაზე, რომ ყველა ადამიანს განათლების მიღების მაქსიმალური შანსი მიეცეს;
- **სოციალური საბაზრო ეკონომიკის ახალი სტარტი**: სოციალური საბაზრო ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა და დამკვიდრება, რომელიც ორიენტირებული იქნება გრძელვადიან შედეგებზე. ყველა სტიმული მიმართული უნდა იყოს სოციალური ბალანსის აღდგენაზე. პარტიის ამოცანაა საწარმოებში სოციალური პარტნიორობის გაძლიერება;
- **თანაბარუფლებიანობა:** ეკონომიკაში წამყვან პოზიციებზე ქალთა რაოდენობის ზრდა და 2014 წლისთვის ამ მაჩვენებლის 40%-მდე მიღწევა. სამართლებრივი ნორმების ცვლილებით შრომის ანაზღაურებაში უთანასწორობის აღმოფხვრა.
- **ეკონომიკის ლოკომოტივი:** გერმანია უნდა იქცეს თანამედროვე ენერგეტიკის, ტრანსპორტისა და კომუნიკაციის ცენტრად. ამისათვის აუცილებელია ეკონომიკური ზრდა და დამატებითი სამუშაო ადგილები.

ძალიან საინტერესოა, რომ პარტიის პროგრამის ყველა ბლოკი შემდეგი ერთი და იმავე ქვებლოკებისგან შედგება: „სად ვდგავართ ჩვენ“; „საითკენ გვსურს ჩვენ“; „რას გავაკეთებთ ჩვენ“:

- ✓ ბლოკში „სად ვდგავართ ჩვენ“ მოყვანილია ამა თუ იმ სექტორის/სფეროს მდგომარეობა, პროცენტული თუ სხვა სტატისტიკური მაჩვენებლები და აღწერილობითი ნაწილი;
- ✓ ბლოკში „საითკენ გვსურს ჩვენ“ მოყვანილია პოლიტიკის ორიენტირები და შესაბამისი რიცხობრივი მაჩვენებლები.
- ✓ ბლოკში „რას გავაკეთებთ ჩვენ“ მოცემულია ძირითადი ღონისძიებები, რომლებსაც განახორციელებენ არჩევნებში გამარჯვების შემთხვევაში. აქვე მოცემულია კონკრეტული ის მაჩვენებლები, რომელთა მიღწევაც სურთ.

თავისუფალი დემოკრატიული პარტია (FDP)

www.fdp.de http://www.liberale.de

თავისუფალი დემოკრატიული პარტია (Die Freie Demokratische Partei, შემოკლებით FDP) სიდიდით მესამე პარტიაა გერმანიაში. პარტია 1948 წელს დაფუძნდა და გერმანულ ლიბერალურ პარტიას განეკუთვნება. აღნიშნული პარტია 42 წლის განმავლობაში ხელისუფლებაში იყო წარმოდგენილი, როგორც კოალიციის წევრი უმცროსი პარტნიორი (CDU/CSU და SPD-თან ერთად). უკანასკნელ 2009 წლის არჩევნებზე ამ პარტიამ 15% აიღო და გერმანიის პარლამენტში 93 წევრი ჰყავს. აღნიშნული არჩევნებისთვის პარტიამ ცალკე პროგრამა წარმოადგინა (Die Mitte stärken, Deutschlandprogramm 2009). ამდენად, აღნიშნული პროგრამა წარმოადგენს პარტიის ბოლო სამოქმედო დოკუმენტს.

პარტიის მოქმედი პროგრამა შვიდი ძირითადი ბლოკისგან შედგება:

1. პრეამბულა: სიძლიერეების ცენტრი (Die Mitte Stärken[5]);
2. მეტი თავისუფლება და წესრიგი სოციალური საბაზრო ეკონომიკის საშუალებით;
3. ნდობაზე დამყარებული მეტი სამოქალაქო თავისუფლება, ერთიანობა და ტოლერანტობა;
4. მეტი შანსები განათლების, კვლევისა და ინოვაციებისათვის;

[5] „სიძლიერეების ცენტრი“ იყო FDP-ს პოლიტიკური ლოზუნგი.

5. მეტი კეთილდღეობა და ცხოვრების უკეთესი დონე თავისუფლებისა და პასუხისმგებლობის საშუალებით;

6. საერთაშორისო პოლიტიკა და თავისუფლება, მშვიდობა და კეთილდღეობა მსოფლიოში;

7. პოლიტიკის ცვლილება გერმანიისთვის: სიძლიერეების ცენტრი.

FDP პარლამენტში მოხვდა ძლიერი ლიბერალური ეკონომიკის იდეოლოგიით. ამდენად, თითოეულ ზემოთ მოყვანილ ბლოკს მნიშვნელოვნად ეტყობა ლიბერალური ეკონომიკური იდეოლოგიის კვალი. ლიბერალური პოლიტიკის ფოკუსში ადამიანია და იდეოლოგია აგებულია საშუალო კლასის მხარდაჭერაზე, საზოგადოების ფორმირებასა და განვითარებაზე. პროგრამის პრეამბულაშივე აღნიშნულია, რომ გერმანიას სჭირდება პოლიტიკის შეცვლა. აღნიშნული საკითხი თავმოყრილია შემდგომ ძირითად მიმართულებებში:

მეტი წმინდა შემოსავალი. FDP-ს პროგრამის მიხედვით, სოციალური საბაზრო ეკონომიკის პირობებში შრომის ანაზღაურება მაღალია, რითაც შესაძლებელია საგადასახადო შემოსავლების მეშვეობით სოციალური თანაბრობის მიღწევა. მისი შემდგომი სრულყოფისთვის აუცილებელია საგადასახადო სისტემის სრულყოფა, რომლის ძირითადი პრინციპიც იქნება მარტივი, დაბალი და სამართლიანი გადასახადები. საშემოსავლო გადასახადი უნდა იყოს საფეხურებრივი (10%, 25% და 35%), ხოლო დაუბეგრავი შემოსავალი უნდა შეადგენდეს 8004 ევროს. წლის განმავლობაში 41 000 ევრომდე სოციალურ დაცვაზე (დაზღვევა, მედიკამენტების შეძენა და სხვა) ოჯახის ხარჯები ასევე არ დაიბეგრება გადასახადებით. მათი აზრით, ეს სისტემა შექმნის მეტ სოციალურ სამართლიანობას, ოჯახები შეძლებენ უკეთეს პირობებში ცხოვრებას, ხოლო საწარმოები შეძლებენ მეტი თანხების ინვესტირებას. პარტიის პროგრამის ამ ნაწილის მიხედვით, შრომა უკეთ უნდა დაფასდეს.

კარგი ეკონომიკური პოლიტიკა – კარგი სოციალური პოლიტიკა. FDP-ს პროგრამით, კარგი ეკონომიკური პოლიტიკა ავტომატურად ნიშნავს კარგ სოციალურ პოლიტიკას. მთავარი ორიენტირი არის სოლიდარობა, რომელიც გულისხმობს პირადი პასუხისმგებლობებისთვის მზადყოფნას. FDP-ს პროგრამის მიხედვით, ყველა სოციალური გადასახდელი გაერთიანდება ერთ გადასახადში, რომელსაც „მოქალაქეთა გადასახდელი“ დაერქმევა. მისი გადახდა განხორციელდება ერთ საფინანსო სამსახურში. FDP მოახდენს საწარმოების საგადასახადო ადმინისტრირების ხარვეზების გამოსწორებას. გერმანულ ბიზნესს სჭირდება ნაკლები ბიუროკრატია და მეტი თავისუფლება. ამასთან, უნდა აღმოიფხვრას საგადასახადო შემოსავლების გაფლანგვა და შემცირდეს სუბსიდიები. დაუშვებელია თაობების დაპირისპირება და მომავალი თაობებისთვის ვალების დატოვება. საპენსიო პოლიტიკა კვლავ საიმედო უნდა გახდეს.

ახალი ნდობა საფინანსო ბაზრებზე. FDP-ს პროგრამის მიხედვით, მოქალაქეები და კომპანიები კვლავ უნდა ენდონ საფინანსო სისტემას. მსოფლიო ფინანსური კრიზისის შემდგომ ეს ნდობა შესუსტებულია, მაგრამ შესაძლებელია ამ ნდობის აღდგენა საფინანსო სისტემისადმი უკეთესი რეგულაციების შექმნით. საბანკო კონტროლი საერთაშორისო და ნაციონალურ დონეზე უნდა იყოს უფრო კომპეტენტური და ეფექტური. ფინანსური პასუხისმგებლობა უნდა დაეკისროს მათ, ვინც იღებს ხელისუფლებაში გადაწყვეტილებებს.

მეტი განათლება, მეტი შანსები. პარტიის პროგრამით, განათლება მოქალაქის უფლებაა და მეტი განათლება მეტი შანსია. გერმანიაში განათლება ყველაზე ძვირფასი რესურსია და ის საუკეთესო შანსია სოციალური ზრდისთვის. განათლებაზე დახარჯული ფული საუკეთესო ინვესტიციაა. განათლება მოიცავს: (1) განათლების მიღების თანაბარი შესაძლებლობები; (2) საგანმანათლებლო დაწესებულების არჩევის თავისუფლება – საბავშვო ბაღიდან დაწყებული უნივერსიტეტებით დამთავრებული; (3) განათლების სისტემის გამჭვირვალობა; (4) ფინანსური სახსრების არარსებობის გამო სწავლის შეწყვეტის დაუშვებლობა და სტიპენდიების სისტემის შექმნა. განათლება და კვლევები არის წინაპირობა მომავალზე ორიენტირებული ახალი პროდუქციისა და სამუშაო ადგილების შექმნისა. საერთაშორისო კონკურენტულ გარემოში, მეცნიერული კვლევების საფუძველზე, გერმანია უნდა იყოს წარმატებული.
პარტიის პროგრამით მხარდაჭერილია: (1) ინიციატივები, რომლებიც მიმართულია თავისუფალი კვლევებისაკენ; (2) უცხოელი ექსპერტების კვლევებში ჩართულობის სამართლებრივი მხარდაჭერა; (3) უკეთესი პირობები კვლევების წინსვლისათვის.

ენერგეტიკული და ეკოლოგიური პოლიტიკა ცხოვრების დონის გასაუმჯობესებლად. FDP-ს პროგრამის მიხედვით, პარტია გამოდის გონივრული ენერგეტიკული და ეკოლოგიური პოლიტიკის მხარდამჭერად. პარტიის ხედვით, იდეების კონკურენცია მომავლის უზრუნველსაყოფად ქვეყანას მიიყვანს ახალ გადაწყვეტილებებამდე. ტექნიკური პროგრესის წყალობით გარემოს დაცვა, მობილურობა და ენერგია აღარ არის ფუფუნება. ამდენად, პარტიის ამ პროგრამით მხარდაჭერილია: (1) ლოგიკური კონცეფცია, რომელიც ენერგიას აქცევს ეკოლოგიურად უსაფრთხოდ და ხელმისაწვდომად; (2) ენერგიის ბრუნვაზე გადასახადის 19%-დან 7%-მდე შემცირება ან ე.წ. ეკოლოგიური გადასახადის შემცირება; (3) ენერ-

გეტიკულ ბაზრებზე კონკურენციის გაძლიერება; (4) რეგენერაციული ენერგომიწოდების გაფართოება. აქცენტი უნდა გაკეთდეს ენერგოდივერსიფიცირებაზე, რომელიც გულისხმობს არა მხოლოდ განახლებადი ენერგიის, არამედ მაღალეფექტური ნახშირის ელექტროსადგურების გამოყენებას. ატომური ენერგია ეკოლოგიური და ეკონომიკური მიზეზების გამო შეიძლება გამოყენებულ იქნას დროებით, გარდამავალ პერიოდში.

შიდა პოლიტიკა, რომელსაც ენდობიან მსოფლიოში. პარტიის მიერ წარმოდგენილი ლიბერალური საგარეო პოლიტიკა ორიენტირებულია შემდეგ ფასეულობებზე: დემოკრატია; ადამიანის უფლებები; საბაზრო -ეკონომიკური მოწყობა; სამართლებრივი სახელმწიფო. ეს ყველაფერი იძლევა გერმანიის ინტერესების წარმოჩენის საუკეთესო საშუალებას.

3.2. ამერიკის შეერთებული შტატები

ამერიკის შეერთებული შტატები მსოფლიოში უძველესი ფედერალური სახელმწიფოა. აშშ კონსტიტუციური რესპუბლიკაა, რომელშიც მნიშვნელოვან როლს თამაშობს წარმომადგენლობითი დემოკრატია, რაშიც უმცირესობების უფლებების კანონმდებლობით მაქსიმალური დაცვა იგულისხმება. ამერიკის ფედერალურ სისტემაში წარმოდგენილია სამი დონის ხელისუფლება: ფედერალური, საშტატო და ადგილობრივი. ფედერალური ხელისუფლება დაყოფილია სამ შტოდ: საკანონმდებლო (ორპალატიანი კონგრესი, რომელშიც წარმოდგენილია სენატთა და წარმომადგენელთა პალატა), აღმასრულებელი და სასამართლო.
წარმომადგენელთა პალატა შედგება 435 წევრისაგან, რომელთა არჩევა ხდება კონგრესული უბნების მიხედვით. კონგრესში წარმომადგენლების რაოდენობა თითოეული ტერიტორიული ერთეულიდან იცვლება ყოველ ათ წელიწადში, მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით. სენატთა პალატა 100 წევრისაგან შედგება, თითოეულ შტატს ჰყავს ორი სენატორი.
1830–იანი წლებიდან ამერიკის შეერთებულ შტატებში ორპარტიული სისტემაა წარმოდგენილი;, ქვეყანაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს ორი პარტია: დემოკრატიული და რესპუბლიკური.

დემოკრატიული პარტია

www.democrats.org

http://www.barackobama.com/

დემოკრატიული პარტია დაარსდა 1824 წელს. იგი მემარჯვენეცენტრისტული, ლიბერალური პარტიაა.
პარტიის მთავარი მიზანი ეროვნული უსაფრთხოების დაცვა და ყოველი ამერიკელისათვის შესაძლებლობების გაფართოებაა; ყურადღება გამახვილებულია მდგრად ეკონომიკურ ზრდაზე; ყოველი ამერიკელისათვის სათანადო ჯანდაცვის სისტემისა და საპენსიო უსაფრთხოების უზრუნველყოფაზე; სამართლიან და ანგარიშვალდებულ ხელისუფლებასა და მოქალაქეების უფლებებისა და თავისუფლებების დაცვაზე.
დემოკრატიულ პარტიას მიზნები და მათი განხორციელების გზები ასახული აქვს პარტიის ეროვნულ პლატფორმაში, რომელიც განიცდის მოდიფიკაციასა და განახლებას ყოველ ოთხ წელიწადში პარტიის ეროვნული კონვენციის კომისიის მიერ.
დემოკრატიული მოძრაობის 2008 წლის ეროვნული პლატფორმა (59 გვერდი) შედგება შემდეგი ნაწილებისაგან:

I. ამერიკული ოცნების განახლება

- ეკონომიკის წინსვლა და საშუალო კლასის ამერიკელებისათვის დახმარების უზრუნველყოფა (ჯანდაცვა; საპენსიო სისტემა; სამუშაო ადგილები; სამუშაო და ოჯახი; სიღარიბე; შესაძლებლობები ქალებისათვის);
- ამერიკელების კონკურენტუნარიანობის ზრდისთვის ინვესტიციები (ახალი ამერიკული ენერგია; განათლება; მეცნიერება, ტექნოლოგია და ინოვაცია; მრეწველობა; ინფრასტრუქტურა; მცირე ბიზნესი და მეწარმეობა; სოფლის მეურნეობა);
- ეკონომიკური რეგულირება (სამართლიანი საგადასახადო სისტემა; საცხოვრებლით უზრუნველყოფა; ფინანსური რეგულირება და კორ-

პორატიული მმართველობა; მომხმარებელთა დაცვა; დანაზოგები; ძლიერი და სამართლიანი სავაჭრო პოლიტიკა; ფისკალური პასუხისმგებლობა).

II. ამერიკის ლიდერობის განახლება (ერაყში ომის დასრულება; მასიური განადგურების იარაღისა გავრცელებისა და გამოყენების პრევენცია; პლანეტის დაცვა და სხვა)

III. ამერიკული საზოგადოების ერთობის განახლება

IV. ამერიკული დემოკრატიის განახლება.

პლატფორმაში მოცემულია თითოეული საკითხთან დაკავშირებით პარტიის მიზნები და შემუშავებული პოლიტიკა. დაინტერესებულ პირებს ასევე შეუძლიათ გაეცნონ პლატფორმის ცალკეულ ნაწილებს და მათთან დაკავშირებულ მიმდინარე სიახლეებს, კერძოდ, ჯანდაცვა; ენერგომომარეგების დამოუკიდებლობა; ეროვნული უსაფრთხოება; ეკონომიკური რეგულირება; მეცნიერება და ტექნოლოგია; გარემო და კლიმატური ცვლილებები; იმიგრაცია; მოქალაქეების უფლებები და თავისუფლებები; სამართლიანი და ანგარიშვალდებული მმართველობა; საპენსიო უსაფრთხოება.
პლატფორმაში კონკრეტული ეკონომიკური მაჩვენებლები მოცემულია მხოლოდ რამდენიმე ნაწილში; არ არის წარმოდგენილი პოლიტიკების გატარების საერთო ფულადი ღირებულებები.
საინტერესო იქნება თუ განვიხილავთ აშშ–ს ამჟამინდელი პრეზიდენტის ბარაკ ობამას წინასაარჩევნო პროგრამას, რომელმაც არჩევნების პერიოდში დიდი ინტერესი გამოიწვია როგორც ამერიკელ მოქალაქეებს, ისე ექსპერტებს შორის.
პროგრამაში წარმოდგენლია შემდეგი ძირითადი მიმართულებები: მოქალაქეთა უფლებები; თავდაცვა; შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები; ეკონომიკა; განათლება; ენერგია და გარემო; ეთიკა; ოჯახი; რელიგია; ფისკალური პოლიტიკა; საგარეო პოლიტიკა; ჯანდაცვა; საკუთრების დაცვა; იმიგრაცია; ერაყი; სიღარიბე; სოფლის მეურნეობა; მომსახურება; ხანდაზმულები და სოციალური დაცვა; ტექნოლოგია; ურბანული პოლიტიკა; ვეტერანები; ქალები; სპორტი, ხელოვნება და სხვა.
განვიხილოთ პროგრამის ერთ–ერთი მნიშვნელოვანი ნაწილი – ეკონომიკა. ეკონომიკის გაძლიერების გეგმა იწყება რამდენიმე ძირითადი პოლიტიკის მოკლე აღწერით; შემდეგ წარმოდგენილია ვრცელი პროგრამული ნაწილი. გაანალიზებულია არსებული პრობლემები:

ხელფასები უცვლელია, ხოლო ფასები იზრდება; საშუალო კლასის ნაცვლად გადასახადები მდიდრებისთვის შემცირდა.
ეკონომიკური გაძლიერების გეგმაში წარმოდგენილი პოლიტიკები იყოფა კონკრეტულ ღონისძიებებად შესაბამისი ახნითა და ფინანსური მაჩვენებლების მითითებით.

ეკონომიკის გაძლიერების გეგმა:

1. ეკონომიკისათვის ბიძგის მიცემა/წახალისება
   - ექსტრაორდინალურად მაღალ მოგებაზე (Windfall) გადასახადის დაწესება, რათა ამერიკელი ოჯახებისათვის უზრუნველყოფილ იქნას ენერგიის მოხმარებაზე 1000 აშშ დოლარის[6] შეღავათი;
   - 50 მილიარდი აშშ დოლარის გამოყოფა ეკონომიკის წახალისებისა და სამუშაოს დაკარგვისაგან 1 მილიონი ამერიკელის დაცვისათვის.
2. საშუალო კლასის ამერიკელების გადასახადებისაგან გათავისუფლება
   - მუშათა ოჯახების გადასახადებისაგან გათავისუფლება;
   - შემოსავლის გადასახადის გაუქმება ხანდაზმულთათვის, რომლებსაც 50 000 აშშ დოლარზე ნაკლები შემოსავალი აქვთ;
   - საშუალო კლასისათვის გადასახადების გადახდის პროცედურის გამარტივება.
3. ვაჭრობა
   - თავისუფალი ვაჭრობისათვის ბრძოლა;
   - ჩრდილოეთ ამერიკის თავისუფალ სავაჭრო შეთანხმებაში შესწორებების შეტანა;
   - გარდამავალი პერიოდის ხელშეწყობა;
   - საგადასახადო არდადეგების გაუქმება იმ კომპანიებისათვის, რომლებიც სამუშაო ადგილებს საზღვარგარეთ ქმნიან;
   - კომპანიების წახალისება (საგადასახადო კრედიტები და სხვა), რომლებიც ამერიკელ მომუშავეებს მხარს უჭერენ.
4. სამრეწველო სექტორში ინვესტირება და 5 მილიონი ახალი ,,მწვანე" სამუშაო ადგილის შექმნა

[6] აშშ დოლარი შეადგენს დაახლოებით 1.6760 ლარს.

- მომავალი თაობის გამომგონებლებისა და სამუშაოთა შემქმნელების მხარდაჭერა;
- მრეწველობის გაფართოების ამხანაგობის (MEP) დაფინანსების გაორმაგება;
- ,,სუფთა'' ენერგიის ეკონომიკაში ინვესტირება და 5 მილიონი ახალ სამუშაო ადგილის შექმნა;
- ,,სუფთა'' ტექნოლოგიებისათვის ახალი სასწავლო პროგრამების შექმნა;
- განახლებადი ენერგიის სექტორის განვითარება და ახალი სამუშაო ადგილების შექმნა.

5. ნაციონალური ინფრასტრუქტურაში ინვესტიციების გზით ახალი სამუშაო ადგილების შექმნა
6. ტექნოლოგია, ინოვაცია და სამუშაო ადგილების შექმნა
   - მეცნიერებაში ინვესტირება;
   - კვლევებსა და განვითარებაზე (R&D) საგადასახადო კრედიტები იქნება მუდმივი;
   - ახალი თაობის ტექნიკის განვითარების ხელშეწყობა.
7. მცირე ბიზნესის მხარდაჭერა
   - საგადასახადო შეღავათების დაწესება დამწყები და მცირე ბიზნესისათვის;
   - ბიზნეს ინკუბატორების (სახელმწიფო და ბიზნეს სექტორის თანამშრომლობა) ნაციონალური ქსელის შექმნა.
8. შრომა
   - შრომითი გაერთიანებების თავისუფლება;
   - მომუშავეთა უფლებებისათვის ბრძოლა;
   - გაფიცული მუშების დაცვა;
   - მინიმალური ანაზღაურების გაზრდა.
9. საკუთრების უფლების დაცვა და იპოთეკური (დაგირავების პროცესში წარმოქმნილი) თაღლითობების წინააღმდეგ ბრძოლა
   - უნივერსალური იპოთეკური კრედიტის შექმნა;

   - სუბსტანდარტული იპოთეკის ინდუსტრიის წარმომადგენლების ანგარიშვალდებულების ზრდა;
   - იპოთეკური სესხის გაცემის გამჭვირვალობა;
   - იპოთეკური კომპანიების (სუბსტანდარტული იპოთეკის ინდუსტრია) გაკოტრებისაგან თავის არიდების შეზღუდვა.
10. საკრედიტო ბარათების პრაქტიკაში არაპატიოსანი ქმედებების აღმოფხვრა
    - საკრედიტო ბარათების სარეიტინგო სისტემის შექმნა;
    - მომხმარებელთა დასაცავად საკრედიტო ბარათების უფლებათა დოკუმენტის (უფლებათა სია) შემოღება.
11. გაკოტრების კანონის რეფორმა
    - აბსოლუტურად არაადეკვატურ საპროცენტო განაკვეთებზე ზედა ზღვრის დაწესება და დარვევათა აღმოჩენის გაუმჯობესება;
    - იმ ინსტიტუტების წახალისება, რომლებიც უზრუნველყოფენ მცირე სამომხმარებლო სესხებს;
    - გაკოტრების კანონის რეფორმირება სამედიცინო კრიზისის მქონე ოჯახების (რომლებიც დაასაბუთებენ, რომ სამედიცინო ხარჯების გამო გაკოტრდნენ) დასაცავად.
12. სამუშაო/ოჯახის ბალანსი
    - საოჯახო და სამედიცინო ,,ბიულეტენის აქტის'' გაფართოება;
    - შტატების წახალისება, რათა განავითარონ ანაზღაურებადი ბიულეტენები;
    - მაღალი ხარისხის სკოლისშემგომი შესაძლებლობების გაფართოება;
    - ბავშვთა მოვლისა და განვითარების საგადასახადო კრედიტები გაფართოება;
    - დისკრიმინაციისაგან დაცვა;
    - მოქნილი სამუშაო გრაფიკის განვითარება.

უნდა აღინიშნოს, რომ თითოეულ პოლიტიკასთან მიმართებაში პროგამაში ასახულია რამდენი აშშ დოლარის ინვესტირებას ან ასიგნებას აპირებს საპრეზიდენტო კანდიდატი და ბევრ შემთხვევაში მოცემულია, თუ რა იქნება პოლიტიკის გატარების შედეგი. მაგალითად, რამ-

დენი ამერიკელი რა თანხის შეღავათს მიიღებს; რა იქნება ეკონომიკური, სოციალური თუ საბიუჯეტო ეფექტი.
ამასთან, პროგრამის რამდენიმე ნაწილს, მაგალითად, ფისკალური პოლიტიკა და ახალი ენერგია ამერიკელებისათვის, თან ახლავს დამატებითი დოკუმენტები, სადაც შესაბამის პოლიტიკაზე მოცემულია უფრო დეტალური ინფორმაცია და ფინანსური გათვლები.
აუცილებელია აღინიშნოს, რომ საპრეზიდენტო კანდიდატის და ახლა უკვე პრეზედენტის, ბარაკ ობამას ვებ–გვერდზე თითოეულ პოლიტიკასთან მიმართებაში მოყვანილია რესპუბლიკური პარტიის კანდიდატის, ჯონ მაკკეინის პოლიტიკა აღნიშნულ საკითხზე.

რესპუბლიკური პარტია

http://www.gop.com
http://www.gopconvention2008.com/

რესპუბლიკური პარტია წარმოადგენს მემარჯვენე-ცენტრისტულ, კონსერვატიულ პარტიას. რესპუბლიკური პარტიის შექმნა ანტიმონური აქტივობების (,,თავისუფალი მიწა, თავისუფალი შრომა, თავისუფალი სიტყვა და თავისუფალი ადამიანი“) დაწყებას უკავშირდება. 1856 წლიდან შეიქმნა რესპუბლიკელების ეროვნული პარტია.
რესპუბლიკური პარტიის ფასეულობებია: ამერიკაში ცხოვრება გამართლებაა, იმიტომ რომ ამერიკაში ყველას ინდივიდუალური უფლებები და თავისუფლება დაცულია; გულმოდგინე შრომით, ოჯახის მხარდაჭერითა და თვითდისციპლინით ადამიანს შეუძლია მიაღწიოს წარმატებას და იპოვოს საკუთარი თავი; საზოგადოების მხარდაჭერა და მოხალისეობრივი დახმარება ღირებულია; ხელისუფლება უნდა იყოს შეზღუდული, რომ არასდროს დაიჩაგროს ინდივიდის უფლებები; ადამიანებმა უკეთ იციან როგორ მოიხმარონ საკუთარი ფული, ვიდრე ხელისუფლებამ, ამიტომ, პარტია მხარს უჭერს დაბალ გადასახადებს; თავისუფალი ბაზარი აქცევს ადამიანებს თავისუფლებად, ამიტომ, პარტია მიესალმება ლოგიკურ ბიზნეს რეგულირებას, რომელიც წაახალისებს მეტ მეწარმეს ბიზნესის დასაწყებად; მსოფლიოში მშვიდობისა და თავისუფლების შესანაჩუნებლად ეროვნული სიძლიერის შენარჩუნება უმნიშვნელოვანესია.
რესპუბლიკური პარტიის პოლიტიკა წარმოდგენილია პლატფორმაში, რომელიც შემუშავებულია რესპუბლიკელების ეროვნული კონვენციის კომისიის მიერ. განვიხილოთ პარტიის 2008 წლის პლატფორმა (67 გვერდი).
პლატფორმა შედგება შემდეგი ნაწილებისაგან: ერის დაცვა, გმირების მხარდაჭერა და მშვიდობის დაცვა; ხელისუფლების რეფორმა ხალხის სამსახურში; აღმასვლისათვის შესაძლეობლობების გაფართოება; ენერგო დამოუკიდებლობა და უსაფრთხოება; გარემოს დაცვა; ჯანმრთელობის დაცვა; განათლება ამერიკის კონკურენტუნარიანობის გასაზრდელად; ოჯახების დაცვა; ღირებულებების დაცვა.

აღმასვლისათვის შესაძლებლობების გაფართოებაში მოცემულია ეკონომიკური პოლიტიკა:

1. საგადასახადო პოლიტიკა:
   მშრომელი ამერიკელების დაცვა

გეგმა: საგადასახადო შეღავათების გამოყენებით ეკონომიკის ზრდა

- გადასახადების შემცირება ოჯახებისა და ინდივიდებისათვის;
- ამერიკაში ,,კარგი'' სამუშაო ადგილების შენარჩუნება;
- დანაზოგების წახალისება საგადასახაო კოდექსის გამოყენებით;
- ფუნდამენტური საგადასახადო რეფორმა;
- დემოკრატების გეგმა გადასახადების გასაზრდელად.

2. მცირე ბიზნესი – სამუშაო ადგილების ზრდა
3. ტექნოლოგია და ინოვაცია
4. მოქნილი და ინოვაციური სამუშაო ძალა
   - დამსაქმებელ–დასაქმებულის ურთიერთობის მოდელის წარუმატებლობა – დემოკრატების მოდელი;

- ინვესტირება ადამიანებში – რესპუბლიკელების მოდელი;
- ინდივიდზე დაფუძნებული უმუშევრობის დაზღვევა და გადამზადება.

5. მომუშავეთა გაერთიანებების დაცვა
6. ბინათმესაკუთრეობა
7. სამოქალაქო სამართლიანობის სისტემის რეფორმა კონკურენტუნარიანობის გასაზრდელად
8. თავისუფალი და სამართლიანი ვაჭრობა
9. სოფლის მეურნეობის მხარდაჭერა.

რესპუბლიკული პარტიის პლატფორმაში არ არის წარმოდგენილი ეკონომიკური და ფინანსური მაჩვენებლები, თუმცა, მოცემულია რესპუბლიკელების ეროვნული კონვენციის კომისიის იმ წევრებისა და ექსპერტების სია, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს სფეროების მიხედვით პლატფორმის შემუშავებაში. სავარაუდოდ, ჩატარებული ფინანსური გათვლები კომისიას გააჩნია.
უნდა აღინიშნოს, რომ პარტიის პლატფორმის ზოგიერთ ნაწილში წარმოდგენილი და გაკრიტიკებულია დემოკრატიული პარტიის ხედვები, მოდელები და პოლიტიკა. შესაბამისად, მოცემულია რესპუბლიკური პარტიის პოლიტიკის უპირატესობები.

3.3. იაპონია

იაპონია კონსტიტუციური მონარქიაა; მონარქის ფუნქციები ძირითადად ცერემონიების წარმართვით შემოიფარგლება, ძალაუფლება კი, პრემიერ-მინისტრს და პარლამენტის (**The National Diet of Japan)** წევრებს ეკუთვნით. იაპონიის პარლამენტი შედგება წარმომადგენელთა პალატის 480 და სენატთა პალატის 242 წევრისაგან. უკანასკნელი 54 წლის განმავლობაში იაპონიას ლიბერალ-დემოკრატიული პარტია მართავდა, 2009 წლის არჩევნებზე კი, უმრავლესობაში იაპონიის დემოკრატიული პარტია მოვიდა. გარდა ამ პოლიტიკური პარტიებისა, პარლამენტში წარმომადგენლები ჰყავთ პარტიებს: ახალი კომეიტო, იაპონიის კომუნისტური პარტია, სოციალ-დემოკრატიული პარტია, ხალხის ახალი პარტია და თქვენი პარტია.

The Democratic Party of Japan
民主党

იაპონიის დემოკრატიული პარტია

http://www.dpj.or.jp/

იაპონიის დემოკრატიული პარტია 1998 წელს შეიქმნა ლიბერალ-დემოკრატიული პარტიის მოწინააღმდეგე რამდენიმე პარტიისაგან, ამიტომ პარტიას მრავალფეროვანი პოლიტიკური ხედვა აქვს, თუმცა, ძირითადად, იგი მემარცხენე-ცენტრისტულია. 2009 წლის არჩევნებით პარტიამ წარმომადგენელთა პალატის 308 (64,2%) ადგილი, ხოლო 2007 წლის არჩევნებით სენატთა პალატის 109 (45%) ადგილი მოიპოვა.
პარტიის მიზნებია: გამჭვირვალე, სამართლიანი და თანასწორი წესებით მართული საზოგადოების შექმნა; საბაზრო ეკონომიკის განვითარების მიზნით, თითოეული ინდივიდისათვის უსაფრთხოების, დაცულობის, სამართლიანი და თანაბარი შესაძლებლობების გარანტირება; ცენტრალიზებული სახელისუფლებო ძალაუფლების გადანაწილება მოქალაქეებზე, ბაზრებსა და ადგილობრივ ხელისუფლებაზე, დეცენტრალიზებული სისტემის შექმნა, რომელშიც ყველა მოქალაქეს შეეძლება მონაწილეობა; კონსტიტუციის ყველა ფუნდამენტური პრინციპის განხორციელება (განსაკუთრებით ადამიანის უფლებების დაცვა); და ბოლოს, როგორც გლობალური საზოგადოების წევრები, პარტია მიზნად ისახავს საერთაშორისო ურთიერთობების განვითარებას და იაპონიისადმი მსოფლიო ნდობის გამყარებას.
პარტიის ხედვები და გეგმები ასახულია მანიფესტში (პოლიტიკურ პლატფორმაში, 49 გვერდი). პარტია მანიფესტის განახლებას ყოველი არჩევნებისათვის (სხვადასხვა დონის) ახდენს. მანიფესტების უმრავლესობას თან ერთვის მოკლე რეზიუმე ან სპეციალური დოკუმენტი, რომელშიც მოცემულია დამატებითი ინფორმაცია და მანიფესტში გამოყენებული გამონათქვამებისა და წინადადებების ახნა-განმარტებები. პარტიის სლოგანია – ,,ხალხის სიცოცხლის პირველ ადგილზე დაყენება''. მანიფესტით გათვალისწინებული ცვლილებებით, პირველ რიგში, მოქალაქეების ყოველდღიური ცხოვრების შეცვლაა გამიზნული.
იაპონიის დემოკრატიული პარტიის 2009 წლის მანიფესტი იწყება პარტიის 5 მთავარი დაპირების წარმოდგენით: მფლანგველობითი

ხარჯვის დასრულება; ბავშვებზე ზრუნვა და განათლება; პენსია და სამედიცინო უზრუნველყოფა; რეგიონალური თანასწორობა; დასაქმება და ეკონომიკა.
მანიფესტში ყურადღება მახვილდება ხელისუფლების სისტემის ფორმირებაზე, მოცემულია ფორმირების პრინციპები და შესაბამისი პოლიტიკები. რის შემდეგაც მოცემულია კონკრეტული ნაბიჯები, რომელსაც ხელისუფლებაში ყოფნისას პოლიტიკური პარტია თანმიმდევრულად განახორციელებს. ნაბიჯები (მაგალითად, ბავშვების ფულადი დახმარება; საპენსიო სისტემა; სოფლის მეურნეობაში დასაქმებული საოჯახო მეურნეობების მხარდაჭერა) გაწერილია 2010-2013 წლებზე და თითოეული წლისათვის მოცემულია კონკრეტული ნაბიჯის განხორციელებისათვის საჭირო თანხების ოდენობა; ასევე, მოცემულია რეფორმების კომპლექსის განხორციელების დაგეგმილი ღირებულება.
მანიფესტის ძირითადი ნაწილი ეთმობა ზემოაღნიშნული დაპირებებისა და თითოეულის შესასრულებლად კონკრეტული პოლიტიკების ახსნას. უნდა აღინიშნოს, რომ დაპირებები და შესაბამისი კონკრეტული პოლიტიკები წარმოდგენილია ორი ფორმით: მოკლე და ვრცელი. მოკლე ვერსიაში ლაკონურადაა წარმოდგენილი პოლიტიკების ჩამონათვალი.
ვრცელ ვერსიას ეთმობა მანიფესტის 63% და იგი შედგება ნაწილებისაგან: მფლანგველობითი ხარჯვის დასრულება; ბავშვებზე ზრუნვა და განათლება; საპენსიო სისტემა და სამედიცინო უზრუნველყოფა; რეგიონალური თანასწორობა; დასაქმება და ეკონომიკა; მომხმარებელთა და ადამიანის უფლებების დაცვა; საგარეო ურთიერთობები. ვრცელ ვერსიაში მოცემულია 55 მუხლი, თითოეული მუხლი შეესაბამება კონკრეტულ პოლიტიკას, მასში ასახულია პოლიტიკის მიზანი, სპეციალური ღონისძიებები და პოლიტიკის ღირებულება.
ერთ-ერთი ყველაზე დიდი ნაწილია ,,დასაქმება და ეკონომიკა“. ეს ნაწილი აერთიანებს 12 მუხლს: მცირე და საშუალო მეწარმეობისათვის გადასახადების შემცირება; მცირე და საშუალო ბიზნესის მრავალმხრივი მხარდაჭერა; სამუშაოს მაძიებელთა მხარდაჭერა გადამზადების პროგრამების შექმნის გზით (ყოველთვიური ლიმიტით 100 000 იენი[7]; შრომითი დაზღვევის დაფარვის გაფართოება (ყველა მუშის ჩართვა); დროებითი დასაქმების სტაბილიზება; შრომითი ანაზღაურების მინიმალური დონის გაზრდა; სამუშაო/ცხოვრების ბალანსის მიღწევა და ყველა მომუშავისათვის თანაბარი პირობების შექმნა (უბედური შემთხვევების რაოდენობის

[7] 100 იაპონური იენი შეადგენს დაახლოებით 1.8929 ლარს.

შემცირება); გლობალური დათბობის წინააღმდეგ ბრძოლა; ფიქსირებული ფასით განახლებადი ენერგიის შესყიდვის სისტემის დანერგვა, გენერირებული ენერგიის სრულად შესყიდვის ვალდებულებით; საცხოვრებლით უზრუნველყოფის სისტემის სრულყოფა (გარემოსთან შესაბამისობა); ინოვაციური, გარემოსდაცვითი, განახლებად ენერგიებზე ორიენტირებული და სხვა ტექნოლოგიების შექმნა; ენერგიის მომარაგების უსაფრთხოების უზრუნველყოფა.
მაგალითისათვის განვიხილოთ ორი მუხლი:

მუხლი 35. მცირე და საშუალო მეწარმეობის გადასახადების შემცირება
პოლიტიკის მიზანი: იაპონიის ეკონომიკის გაძლიერება მცირე და საშუალო მეწარმეობის და მათი ოპერატორების მხარდაჭერით.
სპეციალური ღონისძიებები: კორპორატიული გადასახადის განაკვეთის შემცირება მცირე და საშუალო მეწარმეობისათვის 18%-დან 11%-მდე; ,,ინდივიდუალურ კომპანიებში'' (ოჯახის მიერ კონტროლირებადი კორპორაციები) ხელმძღვანელებისათვის ანაზღაურების შემცირების შეზღუდვის გაუქმება.
პოლიტიკის გატარებისთვის საჭირო ფინანსური რესურსი: დაახლოებით 250 მილიარდი იენი.

მუხლი 40. შრომითი ანაზღაურების მინიმალური დონის გაზრდა
პოლიტიკის მიზანი: მშრომელ ხალხს მიეცეს შესაძლებლობა გამოიმუშავონ ცხოვრებისათვის საჭირო თანხა.
სპეციალური ღონისძიებები: სიღარიბის ფუნდამენტური შესწავლა; ანაზღაურების მინიმალური დონის განსაზღვრა პრინციპით ,,მომუშავის და მისი ოჯახის ცხოვრების ხარჯების დასაფარად საკმარისი''; ანაზღაურების ეროვნული მინიმალური დონის შემუშავება, რომელიც მისაღები იქნება ყველა მომუშავესთვის (წინასწარი გათვლებით 800 იენი); ეკონომიკური პირობების გაუმჯობესებით ანაზღაურების საშუალო ეროვნული მინიმალური დონის 1000 იენამდე ზრდის მიღწევა; ფისკალური და ფინანსური ღონისძიებების განხორციელება მცირე და საშულო მეწარმეებისათვის, რათა მათ ბიზნესებში ადვილად დანერგონ ანაზღაურების მინიმალური დონე.
პოლიტიკის გატარებისთვის საჭირო ფინანსური რესურსი: დაახლოებით 220 მილიარდი იენი.

自由民主党

ლიბერალ-დემოკრატიული პარტია

http://www.jimin.jp

ლიბერალ-დემოკრატიული პარტია უდიდესი პარტიაა იაპონიაში. მართალია, 2009 წლის წარმომადგენელთა პალატის არჩევნებზე პარტიამ უმრავლესობა დაკარგა, თუმცა, მოიპოვა 119 ადგილი (24.8%) პალატაში; სენატთა პალატაში კი, პარტიას 82 წარმომადგენელი (33.9%) ჰყავს.
ლიბერალ–დემოკრატიული პარტიის დაარსება უკავშირდება ,,კონსერვატიული ალიანსისკენ'' მოძრაობას, რომელიც 1953 წელს დაიწყო. 1955 წელს იაპონიაში არსებული ორი კონსერვატიული პარტიის - იაპონიის ლიბერალური პარტიისა და იაპონიის დემოკრატთა პარტიის - შეერთებით შეიქმნა პოლიტიკური გაერთიანება - ლიბერალ–დემოკრატიული პარტია.
პარტიის ფუნდამენტური პრინციპებია: ეროვნული ინსტიტუტების რეფორმირება და კულტურული დემოკრატიული საზოგადოების შექმნა; ეროვნული თანასწორობის უზრუნველყოფა იაპონიის საერთაშორისო ურთიერთობების მოწესრიგებით; მრავალმხრივი ეკონომიკური პოლიტიკის ფორმულირება და განხორციელება მოსახლეობის კეთილდღეობის უზრუნველსაყოფად.
ლიბერალ–დემოკრატიული პარტიის გეგმები ასახულია პროგრამაში, რომელიც განიცდის მოდიფიკაციას წინასაარჩევნოდ. 2009 წლის პროგრამის სლოგანია: ,,თუ ცვლილები უნდა განხორციელდეს, დარწმუნებულები უნდა ვიყოთ, რომ ეს ცვლილებები სწორი მიმართულებითაა.“
პროგრამა გაყოფილია ორ ნაწილად; ერთი ნაწილი ეთმობა ,,მინუსების პლიუსებად ტრანსფორმირებას'' ანუ იმის შეცვლას, რაც შესაცვლელია და, შესაბამისად, ახლის შექმნას; მეორე ნაწილი კი, ,,პლიუსების ბევრ პლიუსად გარდაქმნას“ ანუ უკვე არსებული მიმართულებების გაფართოებას და განვითარებას. განვიხილოთ ორივე ნაწილში პარტიის მიერ შემოთავაზებული გეგმები.

,,მინუსების პლიუსებად ტრანსფორმირება''

იმის შეცვლა, რაც შესაცვლელია და ახლის შექმნა

ხელისუფლების მიმდინარე სისტემა

- დეცენტრალიზაციის პროცესის წინწაწევა; (იაპონიის) გუნდის შექმნა, რომელშიც ყველა წევრი (რეგიონები) აქტიურად ჩაერთვება და იმედით სავსე იქნება;
- ბიუროკრატებისათვის სპეციალური პრივილეგიების უფლების შეზღუდვა; ყველა მფლანგველობითი ადმინისტრაციული ხარჯების გაუქმება;
- პარლამენტის წევრების რაოდენობა კვლავ ძალიან დიდია. ეროვნული ხელისუფლების ზომის შემცირება დაიწყება პარლამენტის წევრების რაოდენობის შემცირებით;

მოსახლეობის საარსებო წყაროს მხარდაჭერის სისტემა

- მშობლების სახეებზე მეტი ღიმილი; გარემოს შექმნა, რომელშიც ბავშვები გაიზრდებიან საფრთხეებისა და საშიშროებების გარეშე;
- მნიშვნელოვნად გაზრდილი სიმძიმის (ტვირთის) შემცირება, რომელიც საშუალო ასაკის მოსახლეობას აწევს; ,,განათლების უზრუნველყოფის'' სპეციალური ღონისძიებების შეთავაზება;
- მიმდინარე არასტაბილური ეკონომიკური მდგომარეობა ზრდის უფრო სტაბილური დასაქმების სისტემის აუცილებლობას;
- საზოგადოების შექმნა, რომელშიც ყველას შეეძლება აქტიური იყოს მთელი სიცოცხლის განმავლობაში (აქტიური 70 წლის ასაკი);
- საპენსიო სისტემის განვითარება და გაძლიერება, რათა ხალხმა მშვიდად გაატაროს საპენსიო წლები;
- სამედიცინო უზრუნველყოფის სახლთან ახლოს გადატანა (ყველა რეგიონში სამედიცინო მომსახურების განვითარება), ჯანმრთელი საზოგადოების შექმნა;
- მოძველებული ბიზნეს მოდელის განახლება საჯარო პროექტების განსახორციელებლად; ახალი მოდელი უზრუნველყოფს ინფრასტრუქტურის განვითარებას მიმდინარე პერიოდში და არა შორეულ მომავალში.

,,პლიუსების ბევრ პლიუსად გარდაქმნა“

უკვე არსებული მიმართულებების გაფართოება და განვითარება

იაპონიის უნიკალური ,,საზოგადოების მხარდაჭერის სისტემის'' გარდაქმნა კიდევ უფრო დიდ ,,პლიუსად''

- საგადასახადო სისტემის მნიშვნელოვანი გარდაქმნა; მოხმარების გადასახადიდან შემოსავლების მიმართვა პირდაპირ სოციალური უსაფრთხოების პროგრამებსა და შობადობის ზრდის ღონისძიებებზე;
- ,,საბაზისო განათლების შესახებ'' ახალი კანონმდებლობის ქცევა რეალობად;
- სოფლის მეურნეობის, მეტყევეობისა და მეთევზეობის ინდუსტრიების მხარდაჭერის ზრდა.

ეროვნული ნდობისა და სიამაყის ტრანსფორმაცია უფრო დიდ ,,პლიუსად''

- ჩრდილოეთ კორეის ატომური პროგრამა წარმოადგენს ნათელ და სერიოზულ საფრთხეს იაპონიისათვის. მთავრობის უმთავრესი მისია იქნება მოსახლეობის სიცოცხლის დაცვა;
- ,,ტერიტორიული უთანხმოების'' გადაჭრა;
- მეკობრეობის და ტერორისტული აქტების აღმოფხვრა; საერთაშორისო სამშვიდობო ოპერაციებში მონაწილეობა;
- კონსტიტუციის გადახედვა – წესები ახალი იაპონიისათვის.

,,მსოფლიო ლიდერობის სიძლიერის'' გადაქცევა უფრო დიდ ,,პლიუსად''

- ეკონომიკის ზრდის სტატეგიების საშუალებით, ეროვნული შემოსავლის ზრდის მსოფლიოში ყველაზე მაღალი დონის უზრუნველყოფა;
- იაპონია გახდება მსოფლიოში ,,გარემოზე ორიენტირებულ ერებს'' შორის ლიდერი;
- ,,დაბალი ნახშირორჟანგის'' საზოგადოების შექმნა;
- მსოფლიოში ყველაზე განვითარებული ტექნოლოგიები იქმნება მცირე, მაგრამ ზრდად საწარმოებში; მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების მხარდაჭერა;

- ტექნოლოგიებში თანამედროვე მიღწევები არ უნდა რჩებოდნენ კვლევით დაწესებულებებში; მკვლევარების რაოდენობის გაზრდა, რომლებიც კონკურენტუნარიანები იქნებიან მსოფლიო დონეზე;
- მსოფლიოში ინტერესის გაზრდა იაპონიის ეროვნული ტრადიციული კულტურის მიმართ და ტურისტების მოზიდვა;

ზემოთ ჩამოთვლილი გეგმები ზოგად ხასიათს ატარებს, მხოლოდ მნიშვნელოვანი მაკროეკონომიკური საკითხების შემთხვევაშია მოცემული ღონისძიებების შედეგებთან დაკავშირებული რაოდენობრივი მაჩვენებლები, მაგრამ არც ერთ ნაწილში ღონისძიებების ღირებულება არ არის წარმოდგენილი.

მაგალითად, საპენსიო სისტემის გაძლიერების ნაწილში მოცემულია:

,,3 წლის განმავლობაში, ჩვენ წარმოვადგენთ სპეციალურ ღონისძიებებს იმ ადამიანთა მხარდასაჭერად, რომლებიც იღებენ დაბალ საპენსიო სარგებელს, ან საერთოდ არ იღებენ. ჩვენ ასევე გავითვალისწინებთ საპენსიო სარგებელს იმ ხანდაზმული ხალხისათვის, რომლებიც ჯერ კიდევ მუშაობენ. ... ჩვენ სწრაფად შევქმით კანონით გამყარებულ, საკონსულტაციო ორგანიზაციას (მასში მონაწილეობას მიიღებენ არა მხოლოდ პარტიის წარმომადგენლები), რათა მოხდეს შეთანხმების მიღწევა, თუ როგორ უნდა შეიცვალოს საპენსიო სისტემა ფუნდამენტურად. ...''

ასევე უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამის რამდენიმე მუხლში მოტანილია მაგალითი ამერიკის შეერთებული შტატების რეალობიდან.

პროგრამის ბოლო ნაწილში საუბარია, რომ პარტია გეგმავს რეალური შედეგების მისაღწევად საქმიანობის გაგრძელებას (თანმიმდევრულად) და არ შეცვლის თავის შეხედულებებს. შემდეგ მოცემულია პარტიის პრეზიდენტის მოკლე მიმართვა და ბოლოს, მოცემულია წლების (2009–2030) მიხედვით დაგეგმილი ღონისძიებების ჩამონათვალი.

NEW KOMEITO
公明党

„ახალი კომეიტო"

http://www.komei.or.jp

,,ახალი კომეიტო'' სიდიდით მესამე პარტიაა იაპონიაში. მას 21 წარმომადგენელი ჰყავს წარმომადგენელთა პალატაში და 21 – სენატთა პალატაში.
პარტია შეიქმნა 1998 წელს ,,კომეიტოსა'' (რომელიც, თავის მხრივ, 1964 წელს შეიქმნა) და ახალი მშვიდობის პარტიის შეერთებით. ამჟამად ,,ახალი კომეიტო'' ყველა მნიშვნელოვნან საკითხზე აქტიურად თანამშრომლობს როგორც სახელისუფლებო, ისე ოპოზიციურ პარტიებთან.
პოლიტიკურ პარტიას აქვს პლატფორმა[8], რომელიც შედგება შემდეგი ნაწილებისაგან: სიცოცხლის ხელშეუხებლობაზე დაფუძნებული ჰუმანიზმი; იაპონიის გარდაქმნა; ადამიანისა და ბუნების თანაარსებობა; გლობალური მოქალაქეობა და გლობალური სარგებელი; იაპონიის წვლილი მსოფლიოში; ხელისუფლების დეცენტრალიზაცია და ჭეშმარიტი დემოკრატია; გამოწვევების მიღება და პერსპერქტივები.
პლატფორმაში აღნიშნულ საკითხებზე პარტიის ზოგადი ხედვები და პრინციპებია წარმოდგენილი, ხოლო კონკრეტული გეგმები წარმოდგენილია მანიფესტებში, რომლებიც ყოველი დონის არჩევნებისათვის განახლებას განიცდის.

[8] უნდა აღინიშნოს, რომ ცენტრმა დაამუშავა სხვადასხვა ქვეყნის პოლიტიკური პარტიების პროგრამების ინგლისური ვერსიები, ამიტომ, ზოგიერთ შემთხვევაში, ინგლისურ ენაზე სრული ვერსიის მოპოვების შეუძლებლობის გამო, გაანალიზებულ იქნა პროგრამის/პლატფორმის შემოკლებული ვარიანტი.

,,ახალი კომეიტოს'' 2009 წლის მანიფესტში (წარმომადგენელთა პალატის არჩევნებისათვის წარმოდგენილი პროგრამა) წარმოდგენილია ინიციატივები, რომელთა მიზანია ცხოვრების მაღალი ხარისხის უზრუნველყოფა.
პროგრამა იწყება საშუალო და გრძელვადიანი პერიოდისთვის მომავლის ხედვების წარმოდგენით, რომელშიც ყურადღება გამახვილებულია ხუთ ძირითად მიმართულებაზე: ეკონომიკის ზრდის უფრო მაღალი დონის უზრუნველყოფა; ახალი სამუშაო ადგილების და დაცული საზოგადოების შექმნა; ცენტრალური ხელისუფლების დეცენტრალიზაცია და რესტუქტურიზაცია; საერთაშორისო საზოგადოებაში იაპონიის წვლილის ზრდა.
პროგრამაში მოცემული მნიშვნელოვანი სტრატეგიები ჩამოყალიბებულია შემდეგ ნაწილებად: ,,სუფთა'' სახელისუფლებო მანიფესტი (ხელისუფლების სისტემის მოწყობისა და საჯარო მოხელეების პრივილეგიების (მაგალითად, საპენსიო პაკეტის) შეზღუდვის შესახებ); სიცოცხლისა და ცხოვრების მანიფესტი (სამედიცინო სისტემა, საპენსიო სისტემა და სხვა სოციალური საკითხი); ადამიანური რესურსების განვითარების მანიფესტი (განათლების სისტემა და სხვა); ეკო მანიფესტი.
თითოეულ მანიფესტში მოცემულია, თუ რა ზეგავლენა ექნება შემოთავაზებულ ღონისძიებებს ცხოვრების მაღალი ხარისხის უზრუნველსაყოფად; ღონისძიებების ჩამონათვალი უმეტესად ფინანსური გათვალების გარეშეა წარმოდგენილი.

პროგრამის მეორე ნაწილში განხილულია სამი საკითხი:

- იაპონიის დეცენტრალიზაცია: ადგილობრივი ხელისუფლების ავტონომია;
- საერთაშორისო სამშვიდობო პროცესებში ჩართვა;
- ფისკალური მენეჯმენტი და შემოსავლების უსაფრთხოება; მდგრადი სოციალური უსაფრთხოების სისტემის დაფინანსება.

3.4. ნორვეგია

ნორვეგია არის კონსტიტუციური მონარქია ხელისუფლების საპარლამენტო სისტემით. 1884 წლიდან მონარქის ფუნქციები ძირითადად ცერემონიებზე წარმომადგენლობა გახდა. ოფიციალურად მთავრობას მეფე ამტკიცებს, თუმცა, მთავრობის წარმომადგენლები პარლამენტის უმრავლესობისათვის მისაღები კანდიდატურები უნდა იყვნენ. ნორვეგიის პარლამენტი (ნორვეგიულად Stortinget) 169 წევრისაგან შედგება, მათგან 150 წევრი არჩეულია 19 ოლქიდან პროპორციული წესით, 4 წლის ვადით. დამატებითი 19 ადგილი ირჩევა საერთო საქვეყნო ბაზისზე. ნორვეგიის პარლამენტი მულტიპარტიულია; არც ერთ პარტიას არ შეუძლია მთავრობის ჩამოყალიბება დამოუკიდებლად; თუმცა, პარტიები თანამშრობლობენ კოალიციური მთავრობის შესაქმნელად. ნორვეგიის პარლამენტში (არჩევნები შედგა 2009 წლის 14 სექტემბერს) წარმოდგენილია შემდეგი პოლიტიკური პარტიები: ნორვეგიის ლეიბორისტული პარტია; პროგრეს პარტია; კონსერვატიული პარტია; მემარცხენე-სოციალისტური პარტია; ცენტრისტული პარტია; ქრისტიან–დემოკრატიული პარტია და ლიბერალური პარტია. გარდა ამისა, ქვეყანაში ფუნქციონირებს 20-მდე არასაპარლამენტო პარტია.

ნორვეგიის ლეიბორისტული პარტია

http://arbeiderpartiet.no/Kontakt/Information-in-English

ნორვეგიის ლეიბორისტულ პარტია შეიქმნა 1887 წელს. 1903 წელს პარტია პარლამენტში შევიდა, ხოლო 1927 წლიდან იგი უდიდესი პარტიაა ნორვეგიაში და მნიშვნელოვან როლს თამაშობს ქვეყნის პოლიტიკაში. პარტია უკანასკნელი ათწლეულის განმავლობაში ლეიბორისტული ხელისუფლების დამსახურებად მიიჩნევს, რომ ნორვეგიაში შედარებით ნაკლებია ზღვარი მდიდრებსა და ღარიბებს შორის, დაბალია უმუშევრობის დონე და მოქმედებს მრავალმხრივი კეთილდღეობის სისტემა.

პარტიის ხედვა ორიენტირებულია სიღარიბის დაძლევაზე, მსოფლიოში მშვიდობისა და ეკოლოგიური ბალანსის მიღწევაზე, რომელშიც ხალხი არის თავისუფალი და თანასწორი და შესაძლებლობა აქვს ზეგავლენა იქონიოს ცხოვრების გარემო პირობებზე.

ნორვეგიის ლეიბორისტული პარტია არის სოციალურ-დემოკრატიული პარტია, რომლის ფასეულობებია თავისუფლება, დემოკრატია და სოციალური სამართლიანობა, თანამშრომლობა ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე.

პარტიამ 2009 წლის საპარლამენტო არჩევნებზე ხმების 34.5% მოიპოვა და 64 წარმომადგენელი ჰყავს პარლამენტში; იგი სოციალ–მემარცხენე პარტიასა და ცენტრისტთა პარტიასთან ერთად წარმოადგენს პარლამენტის უმრავლესობას (86 ადგილი 169–დან).

პარტია ყოველი არჩევნებისათვის საზოგადოებას წარუდგენს 4 წლიან მანიფესტს. განვიხილოთ პარტიის 2005–2009 წლების პლატფორმა – ,,ახალი სოლიდარობა'' (70 გვერდი).

მანიფესტი იწყება შესავლით, რომელშიც განხილულია პარტიის 5 ძირითადი ამოცანა: სამუშაო ადგილების შექმნა; საგანმანათლებლო, ინფორმაციული და ექსპერტული ბაზის განვითარება; საპენსიო სისტემის ორიენტირება უფრო მეტ სოციალურ უსაფთხოებასა და სამართლიანობაზე; სოციალური სამართლიანობის გაუმჯობესება; საერთაშორისო არენაზე ნორვეგიის მონაწილეობის ზრდა.

ამოცანების შემდეგ განხილულია პარტიის ღირებულებები, მათ შორის ძირითადია: თავისუფლება, სოლიდარობა და თანაბარი შესაძლებლობები, რის შემდეგაც იწყება პარტიის პლატფორმის ძირითადი ნაწილები: ინფორმაციაზე დაფუძნებული საზოგადოება – დასაქმება და განათლება; ცხოვრების ხარისხი – კულტურა, გარემოს დაცვა და ცხოვრების ხარისხი; საზოგადოების კეთილდღეობა – ზრუნვა და პასუხისმგებლობა; გლობალური საზოგადოება – განაწილება და მენეჯმენტი.

თითოეული ნაწილს აქვს მცირე შესავალი, შედგება რამდენიმე ქვეთავისაგან. განვიხილოთ რამდენიმე ნაწილი.

მეორე ნაწილი, **ინფორმაციაზე დაფუძნებული საზოგადოება – დასაქმება და განათლება,** მოიცავს შემდეგ საკითხებს: სკოლა სწავლების მეტი დროით; უმაღლესი განათლება – ძირითადია; მაღალი ხარისხის კვლევები; თანამშროლობა ინოვაციებისა და ბიზნესის განვითარებისათვის; აქტიური ინდუსტრიული პოლიტიკა; ახალი და მრავალმხრივი პოლიტიკა სანაპირო რეგიონებისათვის; რეგიონების განვითარება; სამუშაო ყველასათვის; კომუნიკაციების განვი-

თარება მთელს ქვეყანაში; მდგრადი სოფლის მეურნეობა; აქტიური სახელმწიფო საკუთრება; ნორვეგია – ენერგიის ქვეყანა; სამართლიანი საგადასახადო სისტემა; ეკონომიკური გამოწვევები.
მესამე ნაწილში, **საზოგადოების კეთილდღეება – ზრუნვა და პასუხისმგებლობა,** განხილულია სოციალური საკითხები: დაცული ოჯახები და უსაფრთხო აღზრდა; აქტიური და დაცული ხანდაზმულობა/სიბერე; სამართლიანი და სანდო საპენსიო სისტემა; სოციალური სამართლიანობა; გენდერული თანასწორობა; საზოგადოების ჩართულობა; ახალი სახელმწიფო საცხოვრებლით უზრუნველყოფის სისტემა; კრიმინალთან ბრძოლა; საჯარო სექტორის ორიენტირება ხალხზე; მუნიციპალური ეკონომიკის განვითარება.
თითოეული ქვეთავი განხილულია შემდეგი სქემით: საკითხის აქტუალობა ქვეყნისათვის, რა არის პარტიის მიზნები ამ საკითხთან დაკავშირებით და რა ღონისძიებების გატარებას აპირებს პარტია; თუმცა, ღონისძიებები ზოგად ხასითას ატარებს, არ არის მოცემული ფინანსური გათვლები, ღონისძიებების ღირებულება და ეფექტიანობა. მაგალითად, აქტიურ ინსდუსტრიულ პოლიტიკაში, რომლის მიზანია განვითარებული ტექნოლოგიების დანერგვა; ექსპერტიზის მაღალი დონე; პროდუქტების აქტიური განვითარება და მარკეტინგი; ამ პროცესებში ცენტრალური და რეგიონალური ხელისუფლების ჩართვა, მოცემულია შემდეგი ღონისძიებები: საზღვაო და სანავთობო სექტორებში მაღალი დონის ექსპერტიზის გამოყენება; ნორვეგიული ბრენდების სახელების სტიმულირება; ზრდადი კონკურენციის პირობებში ახალი ღონისძიებების შემუშავება რესტრუქტურიზაციის სტიმულირებისათვის; ნორვეგიის გემთმშენებლობის სექტორში კრედიტების სახელმწიფო გარანტიების უზრუნველყოფა და სხვა.

3.5. ესტონეთი

ესტონეთი საპარლამენტო რესპუბლიკაა. ესტონეთის პარლამენტი (ესტონურად Riigikogu) შედგება 101 წევრისაგან, რომლებსაც ირჩევენ 4 წლის ვადით, პროპორციული წარმომადგენლობის წესით. პარლამენტი ირჩევს და ამტკიცებს რესპუბლიკის პრეზიდენტს და სხვა მნიშვნელოვანი თანამდებობის პირებს (პრეზიდენტის წარდგინებით). ესტონეთში მრავალპარტიული სისტემაა, წარმოდგენილია უამრავი პარტია, რომლებიც ქმნიან კოალიციებს ძალაუფლების მოსაპოვებლად. ბოლო საპარლამენტო არჩევნები ესტონეთში 2007 წლის 4 მარტს ჩატარდა. პარლამენტში წარმომადგენლები ჰყავთ შემდეგ პოლიტიკურ პარტიებს: ესტონეთის რეფორმატორთა პარტია, ესტონეთის ცენტრისტული პარტია, Union of Pro Patria and Res Publica, სოციალ–დემოკრატიულ პარტია, ესტონეთის მწვანეები და ესტონელი ხალხის გაერთიანება.

ესტონეთის რეფორმატორთა პარტიის, Union of Pro Patria and Res Publica და სოციალ–დემოკრატთა პარტიის კოალიცია

www.reform.ee
www.isamaajarespublicaliit.ee
www.sotsdem.ee
http://www.valitsus.ee/?id=1468

ესტონეთის რეფორმატორთა პარტია შეიქმნა 1994 წელს; ცენტრისტულ–მემარჯვენე პარტიაა, რომელიც ორიენტირებულია თავისუფალ ბაზარსა და ლიბერალიზმზე. 2007 წლის არჩევნების შედეგად, პარტიას პარლამენტში 31 წარმომადგენელი ჰყავს. პარტია რამდენჯერმე იყო კოალიციურ მთავრობაში.

Pro Patria Union and Res Publica დაფუძნდა 2006 წელს ორი კონსერვატიული პარტიის – Pro Patria Union და Res Publica – გაერთიანებით. თავის მხრივ, Pro Patria Union დაფუძნდა 1995 წელს, ხოლო Res Publica 1989 წელს. 2007 წლის არჩევნებზე პარტიამ პარლამენტში 19 ადგილი მოიპოვა.

სოციალ–დემოკრატიული პარტია შეიქმნა 1990 წელს, თუმცა, ესტონეთში ის უძველეს პარტიად ითვლება. სოციალ–დემოკრატიული მოძრაობა ესტონეთში ჯერ კიდევ 1905 წლიდან დაიწყო. 2007 წლის არჩევნებზე პარტიამ პარლამენტში 10 ადგილი მოიპოვა.

2007 წლის მაისიდან ზემოაღნიშნულმა სამმა პარტიამ შექმნა ესტონეთის კოალიციური მთავრობა. განვიხილოთ კოალიციური მთავრობის პროგრამა.
პროგრამა კოალიციამ 2007 წლის 2 აპრილს მიიღო და იგი მოიცავს შემდეგ თავებს: ოჯახისა და მოსახლეობის პოლიტიკა; ეკონომიკური, საგადასახადო და საბიუჯეტო პოლიტიკა; შრომის ანაზღაურე-

ბის პოლიტიკა; განათლებისა და კვლევების პოლიტიკა; სოციალური და ჯანდაცვის პოლიტიკა; ენერგეტიკის პოლიტიკა; გარემოს დაცვის პოლიტიკა; სოფლის მეურნეობის, რეგიონალური და ინფრასტრუქტურის განვითარების პოლიტიკა; ესტონური ენის დაცვის პოლიტიკა; ეთნიკური უმცირესობების პოლიტიკა; ინფორმაციული საზოგადოების წახალისების პოლიტიკა; კულტურის პოლიტიკა; სპორტის პოლიტიკა; საშინაო უსაფრთხოება; საგარეო პოლიტიკა; თავდაცვის პოლიტიკა; სასამართლო პოლიტიკა; სამოქალაქო საზოგადოება და სახელმწიფოებრიობა.

თითოეულ ნაწილში მოკლედ არის ჩამოყალიბებული პოლიტიკის მიზანი და შემდეგ ჩამოთვლილია კონკრეტული ღონისძიებები, რომელთა გატარებასაც გეგმავს კოალიცია 2007–2011 წლებში.

უნდა აღინიშნოს, რომ ღონისძიებების უმრავლესობა დაკავშირებულია საკანონმდებლო ცვლილებებთან, კონკრეტული პროგრამების დანერგვასთან და კონკრეტული სახელმწიფო ინსტიტუტების ფუნქციების განსაზღვრასთან. უმეტეს შემთხვევებში დაკონკრეტებულია, თუ რამდენად გაიზრდება სხვადასხვა ინდიკატორი აბსოლუტურ ან შეფარდებით მაჩვენებლებში; დაკონკრეტებულია ბენეფიციარები და განხორციელების ვადები.

განვიხილოთ კოალიციის პროგრამის ერთ–ერთი ნაწილი – ეკონომიკური, საგადასახადო და საბიუჯეტო პოლიტიკა. ეკონომიკური პოლიტიკის გრძელვადიანი მიზანია ესტონელი ხალხის კეთილდღეობის გაზრდა. ამ მიზნის მისაღწევად კოალიცია აუცილებლად მიიჩნევს ლიბერალური ეკონომიკური პოლიტიკის შემდგომ განვითარებას და ესტონეთის ეკონომიკის რეორგანიზაციას უფრო მაღალი მწარმოებლურობის, ენერგიისა და მასალების ეფექტიანი გამოყენებისა და ცოდნის გენერირების მისაღწევად. წარმატების ფორმულაა – ნაკლები სამუშაო ძალითა და ბუნებრივი რესურსებით უფრო მეტი ღირებულების შექმნა. კოალიცია განახორციელებს ღონისძიებებს, რომელთაგანაც ძირითადია:

- სწორი საბიუჯეტო პოლიტიკის გაგრძელება – საბიუჯეტო პროფიციტისა და სახელმწიფო ვალის შემცირების მიღწევით;
- ესტონური კრონიდან[9] ევროზე სწრაფი ტრანფორმაციის პროცესის ხელშეწყობა შესაბამისი საგადასახადო და საბაჟო პოლიტიკის შემუშავებით; საჯარო სექტორში შრომის ანაზღაურების გაზრდა მხოლოდ კერძო სექტორში ნომინალური მწარმოებლურობის ზრდის შესაბამისად;

[9] 10 ესტონური კრონი შეადგენს დაახლოებით 1.5713 ლარს.

- 2011 წლისათვის საშემოსავლო გადასახადის შემცირება 18%–მდე (2010 წელს 19%–მდე); 2010 წლისათვის თავისუფალი მინიმალური დასაბეგრი ბაზის შემცირება 2750 ესტონურ კრონამდე და სხვა;
- სადაზღვევო პრემიის გადახდისუნარიანობის ზრდა და შრომით ხელშეკრულებაში დაზღვევის სავალდებულობა;
- არ შეიცვლება დამატებული ღირებულების გადასახადის განაკვეთი და ამ გადასახადიდან განთავისუფლება არ იქნება მხარდაჭერილი;
- მეწარმის მოგება, რომლის ინვესტირებაც ბიზნესში მოხდება, არ დაიბეგრება;
- დაზოგვის წახალისებისათვის შესწორებების შეტანა საშემოსავლო გადასახადის აქტში, კერძოდ, ფიზიკური და იურიდიული პირები, რომლებიც იღებენ მოგებას ფასიან ქაღალდებში ინვესტიციებზე, დაიბეგრებიან თანაბრად;
- საკანონმდებლო გარემოს შექმნა, რომლის საფუძველზე კომპანიებს მცირე კაპიტალით (მინიმუმ 1 მილიონი კრონი) შეეძლებათ იმოქმედონ ფასიანი ქაღალდების ბირჟის ალტერნატიულ ბაზრებზე;
- სახელმწიფო ინვესტიციების ზრდა კვლევასა და განვითარებაში; ასევე, კვლევის ინფრასტურქტურის გაუმჯობესებაში;
- ადგილობრივი ინოვაციური, ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ბიზნესების მხარდასაჭერად განხორციელდება სხვადასხვა პროგრამა (მაგალითად, დაპატენტების, პროგრამების დაკანონების და სავაჭრო ნიშნების ექსპერტიზის უზრუნველყოფა და სხვა);
- ელექტრონული საკანონმდებლო მომსახურების განვითარება. მაგალითად, შესაძლებელი იქნება ინტერნეტით მიწის დარეგისტრირება უფასოდ; ეროვნული პორტალის შექმნა მეწარმეებისათვის, ასევე, ეროვნული საკანონმდებლო ინფორმაციების პორტალის შექმნა და სხვა;
- ლიცენზირებასა და ნებართვებს დაქვემდებარებული სამეწარმეო სფეროების რიცხვის შემცირება;
- საჯარო და გამჭვირვალე აუქციონის გზით სახელმწიფო საკუთრების (რომელიც არ არის აუცილებელი სახელმწიფო ფუნქციების შესასრულებლად) გადაცემა ან გაყიდვა;
- შრომის ბაზრის მოდერნიზება და მოქნილობის ზრდა; ახალი დასაქმების ხელშეკრულებების აქტის შემუშავება, რომელიც სამოქალაქო კოდექსის ნაწილი იქნება და შეიქმნება შრომის ბაზრის ყველა მონა-

წილესთან თანამშრომლობით; სამუშაო ძალის თავისუფალი მოძრაობის პრინციპის დაცვა;

- გაკოტრების პროცედურებთან ერთად რეაბილიტაციის პროცედურების ჩამოყალიბება, რათა კომპანიებს საშუალება მიეცეთ შეინარჩუნონ საქმიანობა დროებითი ვალაუვალი მდგომარეობისას;
- თავისუფალი და სამართლიანი საბაზრო კონკურენციის უზრუნველყოფა; მონოპოლიების, კარტელებისა და საბაზრო მანიპულაციების (რაც ზრდის სამომხმარებლო ფასებს) შეზღუდვის გაძლიერება;
- პროდუქციისა და მომსახურების ხარისხის უზრუნველსაყოფად ტექნიკური მოთხოვნების შემუშავება და ხარისხის ზედამხედველობის უზრუნველყოფა;
- ესტონეთის მეწარმეობის პროგრამის ფარგლებში დამწყები (სტუდენტების მიერ) კომპანიების ფონდის შექმნა სამეწარმეო სულისკვეთებისა და ინოვაციური იდეების მხარდასაჭერად – სახელმწიფო ბიზნეს ინკუბატორი ექვსი თვის განმავლობაში დაფარავს სტუდენტების კომპანიების ხარჯებს.

3.6. სომხეთი

სომხეთი საპრეზიდენტო რესპუბლიკაა, რომელშიც პრეზიდენტი მთავრობის მეთაურია. სომხეთის პარლამენტი (ეროვნული ანსამბლეა, სომხურად Azgayin Zhoghov) შედგება 131 ოთხი წლით არჩეული წევრისაგან, მათ შორის 56 დამოუკიდებელი მაჟორიტარია, ხოლო 75 ირჩევა პროპორციული წესით. ბოლო საპარლამენტო არჩევნები სომხეთში ჩატარდა 2007 წლის 12 მაისს, რომლის მიხედვითაც პარლამენტში წარმომადგენლები ჰყავს 5 პარტიას: სომხეთის რესპუბლიკელთა პარტია (64 ადგილი); ,,აყვავებული სომხეთი'' (18 ადგილი); სომხეთის რევოლუციური ფედერაცია (16 ადგილი); პარტია ,,კანონის ქვეყანა'' (9 ადგილი) და პარტია ,,მემკვიდრეობა'' (7 ადგილი). მათ შორის პირველი ოთხი პარტია კოალიციურ გაერთიანებაშია, ხოლო უკანასკნელი ძირითადი ოპოზიციური ძალაა.

,,აყვავებული სომხეთი''

http://www.bhk.am/

პარტია ,,აყვავებული სომხეთი'' შეიქმნა ბიზნესმენის, გაგიკ ცარუკიანის მიერ 2004 წლის 30 აპრილს. 2007 წლის არჩევნებზე პარტიამ ხმათა 14.68% აიღო და სომხეთში მეორე უდიდესი პარტია გახდა.
პარტია მიზნად ისახავს სომხეთის რესპუბლიკაში სოციალური საზოგადოების, თავისუფალი და დემოკრატიული არჩევნების ინსტიტუტების განვითარების მხარდაჭერას. პარტიისათვის უმთავრესი ფასეულობა ადამიანია და მისი ლოზუნგია: ,,ადამიანის გვერდით, ადამიანის დახმარებით და ადამიანისათვის''.
პარტიის პროგრამა შემუშავდა 2007 წელს. პროგრამა იწყება შესავლით, რომელშიც ასახულია პარტიის ძირითადი იდეოლოგია; დიდი მნიშვნელობა ენიჭება დემოკრატიასა და ლიბერალიზმს, ახალი ღირებულებათა სისტემის ფორმირებას; თუმცა, ამავე დროს პარტია ეროვნული და ტრადიციული ფასეულობების (რომელთა შორის ყველაზე მნიშვნელოვანი ოჯახი, ეკლესია და სახელმწიფოებრიობაა) შენარჩუნების მომხრეა.

პარტიის პროგრამა შედგება 8 ნაწილისაგან:

1. სამართლიანი სახელმწიფოს ჩამოყალიბება
2. სამოქალაქო საზოგადოების განვითარება
3. ეკონომიკური პოლიტიკა
4. სოციალური პოლიტიკა
5. განათლება, მეცნიერება და კულტურა
6. თავდაცვისა და ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგია
7. შიდა პოლიტიკა
8. გარემოს დაცვა

ყოველი ნაწილი იწყება მცირე შესავლით და შესაბამისი ძირითადი პოლიტიკების ჩამონათვალით. თავის მხრივ, პოლიტიკების ნაწილში მოცემულია პოლიტიკის მიზანი და კონკრეტული ღონისძიებების ჩამონათვალი.

ყველაზე მოცულობითი ნაწილი პარტიის პროგრამაში ეკონომიკური ნაწილია: მასში განხილულია შემდეგი პოლიტიკები: სტრუქტურული პოლიტიკა; საინვესტიციო პოლიტიკა; საგადასახადო პოლიტიკა; საბიუჯეტო პოლიტიკა; ფულად–საკრედიტო პოლიტიკა; ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარება; საგარეო ვალის ეფექტიანი მართვა და შიდა ეკონომიკური პოლიტიკა; ეკონომიკის დებიუროკრატიზაცია და მცირე და საშუალო საწარმოების მხარდაჭერა; სახელმწიფო შესყიდვების სისტემის სრულყოფა; ანტიმონოპოლიური პოლიტიკა და კონკურენციის დაცვა; ბუნებრივი მონოპოლიების საქმიანობის სახელმწიფო რეგულირება; ჩრდილოვანი ეკონომიკის მოცულობის შემცირება; სამოქალაქო მიწათსარგებლობის ეფექტიანობის გაზრდა; სოფლის აღორძინება და სოფლის მეურნეობის პოლიტიკა; რეგიონალური პოლიტიკა.

პროგრამაში ასევე მოცულობითია სოციალური ნაწილი. პროგრამის ნახევარზე მეტი სწორედ სოციალურ და ეკონომიკურ საკითხებს ეხება. სოციალურ ნაწილში განხილულია შემდეგი პოლიტიკები: ჯანდაცვის სისტემა; დასაქმების პოლიტიკა და უმუშავრობის შემცირება; სოციალური დაცვა და შემოსავლების მართვა; საპენსიო სისტემა; საცხოვრებლით უზრუნველყოფის აქტიური პოლიტიკა; ოჯახების, დედებისა და ბავშვების დაცვა; პოლიტიკა ახალგაზრდებთან მიმართებაში.

პროგრამაში არ არის მოცემული ფინანსური და ეკონომიკური მაჩვენებლები და გათვლები და ზოგიერთი ღონისძიების აღწერა ზოგად ხასიათს ატარებს; თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამაში კომპლექსურად არის განხილული პრობლემები და ზოგადად პროგრამის სტრუქტურა ლოგიკურად და საინტერესოდ არის წარმოდგენილი.

განვიხილოთ ეკონომიკის ნაწილის ერთ–ერთი პოლიტიკა – ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარება. მასში მოკლედაა განხილული, თუ განვითარების რა ეტაპზეა ამჟამად სომხეთის ფასიანი ქაღალდების ბაზარი და რა უარყოფით შედეგებს იწვევს ის, რომ იგი ჯერ–ჯერობით ვერ უზრუნველყოფს კაპიტალის ნაკადების მოძრაობას და რეგულირებას. ამ საკითხებთან მიმართებაში, პარტიის აზრით, სახელმწიფო პოლიტიკის მთავარი მიზანი უნდა იყოს ინსტიტუციონალურ ინვესტორებსა და საწარმოებს შორის კავშირების განვითარება და ბაზრის მონაწილეების უფლებების დაცვა. შემდეგ

ჩამოთვლილია ღონისძიებები დასახული მიზნის მისაღწევად: ფასიანი ქაღალდების ბაზრის ყველა მონაწილის ინტერესების დაცვა და დაბალანსება; პროფესიონალ მონაწილეთა შორის კონკურენციის ზრდა; ფასიანი ქაღალდების ემიტენტების საქმიანობის გამჭვირვალობის ზრდა; ბაზარზე ტრანსაქციული ხარჯების შემცირება; მონაწილეთა საქმიანობის თვითრეგულირების მექანიზმების აქტივიზაცია.

**საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და
განვითარების ცენტრი
თბილისი, დელისის I შესახვევი 5 ა.**

ტელ.: (995 32) 39 90 19

ტელ./ფაქსი: (995 32) 39 90 18

ელ. ფოსტა: office@csrdg.ge

ვებ-გვერდი: www.csrdg.ge